აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა

2023 წლის ანგარიშები

თბილისი
2024

პროექტის ხელმძღვანელები: ნინო გედევანიშვილი, ნელი კობიაშვილი
პროექტის ხელმძღვანელების ასისტენტი ნინო მეტრეველი
რედაქტორი ნინო ნადარაია
კორექტორი ინგა ბრეგვაძე
დიზაინერი ირაკლი ხუციშვილი
ფოტოგრაფები: ბორის სკრინნიკოვი და რესტავრატორები

© აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

2023 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა წლიური საანგარიშო კონფერენცია, რომელიც გაიხსნა სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელ ნინო გედევანიშვილის მოხსენებით. იგი შეეხო ამერიკისა და ევროპის მუზეუმებში სხვადასხვა საეტაპო სიახლესა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მათი გაზიარება-დანერგვის, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის ყოველწლიურად სამუზეუმო საქმიანობის შესახებ ანგარიშების საჯაროდ წარმოდგენისა და მათი გამოქვეყნების აუცილებლობას. თანამშრომლებს ანგარიშების შესადგენად წინასწარ დაეგზავნათ სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების მიერ შემუშავებული კითხვარი (იხ. ქვემოთ), რომელშიც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ხელოვნების მუზეუმის მრავალფეროვანი ფონდების /კოლექციების თანამშრომელთა სამეცნიერო, სამუზეუმო-პრაქტიკული თუ სარესტავრაციო-საკონსერვაციო საქმიანობის განსხვავებული სპეციფიკა. კონფერენციაზე ისინი მოხსენებათა სახით სწორედ ამ კითხვარის მიხედვით შედგენილი ანგარიშებით წარდგნენ. იქვე გადაწყდა პირველად მუზეუმის არსებობის განმავლობაში ამ ანგარიშების ელექტრონული სახით გამოქვეყნება ფოტოილუსტრაციების თანხლებით.

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა მოხსენებაც, რომელიც შეეხებოდა ხელოვნების არტეფაქტთა რესტავრაცია-კონსერვაციის დარგში მსოფლიოში აპრობირებულ თანამედროვე მოთხოვნებსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მათი დამკვიდრების აუცილებლობას. მოხსენების თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ანგარიშებთან ერთად ისიც გამოქვეყნდება. ამასთანავე, საჭიროდ იქნა მიჩნეული, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფში შემავალ ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა ანგარიშების გარდა, ამ ჯგუფის სხვა ინსტიტუციების (დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) მიერ 2023 წელს გაწეულ თემატურ და მიზნობრივ სამუშაოთა ანგარიშების გამოქვეყნებაც.

ამ ანგარიშების გამოცემა ხელს შეუწყობს მუზეუმების თანამშრომლების გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებას და, ამასთან, მკითხველს ადეკვატურ წარმოდგენას შეუქმნის მუზეუმისა და მუზეუმელების ეროვნული მნიშვნელობის რთულ, საპასუხისმგებლო და საპატიო საქმიანობაზე.

კითხვარი

1. მოკლედ აღწერეთ თქვენი განყოფილების/ ფონდის მიზნები;

2. ჩამოთვალეთ განხორციელებული ძირითადი სარესტავრაციო პროექტები;

3.დაახასიათეთ უმნიშვნელოვანესი პროექტები (რესტავრაციის დეპარტამენტისთვის)

4. ჩამოთვალეთ მნიშვნელოვანი მიღწევები კოლექციების აღდგენა-შენარჩუნების საქმეში;

5. დაასახელეთ ძირითადი გამოწვევები და მათს გადასაწყვეტად მიღებული გადაწყვეტილებები;

6. მოკლედ აღწერეთ თქვენი ფონდის კოლექციები, დაასახელეთ მათი საერთო რაოდენობა და ახალშეძენილი მნიშვნელოვანი ექსპონატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7. აღწერეთ კოლექციების მართვის მეთოდებში განხორციელებული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8. დაახასიათეთ არტეფაქტების დოკუმენტირებისა და კატალოგიზირებისათვის გამოყენებული სისტემური მეთოდები;

9. წარმოადგინეთ საფონდო მასალის დოკუმენტირებისა და აღრიცხვის მეთოდთა გაუმჯობესება ან ინოვაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10. დაახასიათეთ რესტავრაციისა და კოლექციების მართვის სფეროში თანამშრომლობა-პარტნიორობა არასამუზეუმო დეპარტამენტებთან, ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან მიღებული შედეგების ჩვენებით;

11. ჩამოთვალეთ ექსპონატთა აღრიცხვა-დაცვისათვის გამოყენებული ტექნოლოგიები (ციფრული პროგრამები, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვ.);

12. ზოგადად აღწერეთ თქვენი დეპარტამენტის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა, სემინარი ან აქტივობა მათში საზოგადოებისა თუ დაინტერესებულ პირთა ჩართვის მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

13. წარმოადგინეთ მომავალი წლის სამუშაო გეგმის მონახაზი, ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები რესტავრაციისა და კოლექციების მართვის სფეროებში;

14. დამატებით აღნიშნეთ 2023 წლის სამუშაო ანგარიშში შესატანი თქვენთვის სასურველი ინფორმაცია ან კომენტარი.

სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის (შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) დაცვა-აღრიცხვის განყოფილების ხელმძღვანელ

მაკა ბურჭულაძის ანგარიში

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

- 2021 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2023 წლის ნოემბერში დასრულდა ხელოვნების მუზეუმის ფონდების სრული ინვენტარიზაცია.
- გრძელდება ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების გრაფიკის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების ევაკუაცია მუზეუმის კუთვნილ ფართებში (ლ. გუდიაშვილის ქ. N 1 და N 3).
- დაგეგმილია მონუმენტური ფერწერის ფონდისა და საინფორმაციო კოლექციების მომზადება ევაკუაციისთვის.
- 2023 წლის 18 მაისიდან დაიწყო უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით ოქროს ფონდის/საგანძურის ექსპონატთა გადატანა ხელოვნების მუზეუმის ბალანსზე მყოფ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროებით საცავებში (შოთა რუსთაველის გამზ. N 3). დეკემბრის ჩათვლით გადატანილია 6019 ექსპონატი.
- ხელოვნების მუზეუმის ფონდების შევსების მიზნით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობითა და მუზეუმთა ჯგუფის შემსყიდველი კომისიის გადაწყვეტილებით, შეძენილია (17 000 ლარი, 127 100 $) 7 მხატვრის 38 ნამუშევრისა და 2 მოქანდაკის (გაიანე ხაჩატურიანის, ვერა როხლინა-შლეზინგერის, დავით აბესაძის, დავით მინდაძის, ლუიზა ლაფერაძის, ჯემალ კუხალაშვილის, კარლო გრიგოლიას, სიმონ გირკელიძის, ვლადიმირ იაკოვლევის) 6 ქანდაკება.
- ხელოვნების მუზეუმს ავტორთა და კერძო პირთა მიერ საჩუქრად გადაეცა შემდეგი ნამუშევრები:
  1. ბადრი ლომსიანიძე. *აბრეშუმის გზა* (შემომწირველი ავტორი);
  2. სერგო ქობულაძე. *ლედა*. 1928 (შემომწირველი ალექსანდრე ნაჭყებია);
  3. სოფიო ჩერქეზიშვილი. *კავკასიონი ფიქრობდა ჩემზე*. 2019 (შემომწირველი ა(ა)იპ-ის *ფონდ ათინათის* დირექტორი ანა ალავერდაშვილი);
  4. ვერა როხლინა. *ავტოპორტრეტი*. 1918-1919 (შემომწირველი შპს ბაია გალერეა-ექსპოს დირექტორი ლეილა წიქორიძე);
  5. დაფარნა. XVIII ს. (შემომწირველი მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი ირინე ძუცოვა);
  6. აღმოსავლური ხელოვნების 7 ნიმუში. XIXს. (შემომწირველი აღმოსავლეთმცოდნე გრიგოლ ბერაძე).
- წლების განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საელჩოების, კერძო პირების მიერ ხდებოდა ექსპონატების დროებით საგამოფენოდ გატანა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან და ეროვნული გალერეიდან, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არ დაბრუნებულა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძალისხმევით 2021 წლის სექტემბრიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება მუზეუმთა ჯგუფის კუთვნილი ექსპონატების დაბრუნება. 2021-2023 წლების განმავლობაში სულ დაბრუნებულ იქნა 273 ექსპონატი, 2023 წელს კი – 123 (ილ. 1-10).
- ეროვნული გალერეის ყოფილ საცავში განთავსებულ ექსპონატთა მონიტორინგის მიზნით, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, ნ. ახალბედაშვილის, ბრძანებით (2023 წლის 15 მარტის N 40) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა გალერეის ყოფილ საცავში (ქ. თბილისი, ვ. აბაშიძის ქ N 5) 40 წლის წინ განთავსებული ქანდაკების ფონდის ექსპონატთა (500 ერთეულზე მეტი) ინვენტარიზაცია. წლობით ნესტიან სარდაფში

ყოფნის გამო ისინი დასნებოვნებული იყო სოკოთი და საჭიროებდა აღდგენას. პრობლემის მოსაგვარებლად პირველადი გაწმენდითი სამუშაოები ჩაატარეს გალერეის რესტავრატორებმა, თუმცა, ფონდსაცავში არსებული სხვა ექსპონატების დასნებოვნების რისკის სრულად გამოსარიცხად ისინი დამუშავდა სპეციალური ხსნარებით და შემდეგ განთავსდა გალერეის ქანდაკების ფონდში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნამუშევრების ისტორიულ-კულტურული ღირებულების, ფიზიკური მდგომარეობისა და კუთვნილების დადგენა. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და თბილისის სამხატვრო აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად გალერეის თანამშრომლებს დახმარებას უწევენ აკადემიის სტუდენტებიც.

- 2023 წელს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათვის, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ასევე მასპინძელი ქვეყნების (დანია, შვეიცარია, ბელგია) სათანადო ინსტიტუციებთან თანამშრომლობით იქ მოეწყო მუზეუმთა ჯგუფის კუთვნილი, ძირითადად, XIX-XX სს-ის სხვადასხვა ჟანრისა და დარგის ხელოვნების ნიმუშთა გრანდიოზული გამოფენები, რომელთა შესახებ შედარებით დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია თანამშრომელთა პერსონალურ ანგარიშებში.
- 2023 წელს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ირაკლი ფარჯიანის საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობითა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით ხელოვნების მუზეუმის მეორე კორპუსში გარემონტდა 542,2 კვ.მ სივრცე, სადაც გაიხსნა ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი და ამიერკავკასიაში პირველი სახელმწიფო ლაბორატორია. ის არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონის მასშტაბითაც უზრუნველყოფს ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსურ კვლევას. ლაბორატორიისთვის განკუთვნილი დანადგარების მონტაჟი განახორციელეს გერმანელმა და ხორვატმა ექსპერტებმა. ტრენინგები ჩაუტარდა ლაბორატორიის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს – ხელოვნებათმცოდნეებს, ქიმიკოს-რესტავრატორებსა და რადიოლოგებს. მათი გადამზადება განხორციელდა ესპანეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელ ენრიკე პარას მიერ. ტრენინგები მომავალშიც გაგრძელდება. ლაბორატორიამ უკვე დაიწყო კერძო პირებისა და მუზეუმში დაცული ფიროსმანის ტილოების ტექნოლოგიური კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა. მუზეუმსა და ფრიდონ თოდუას კლინიკას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად ლაბორატორიის თანამშრომლებს მიეცა საშუალება, რომ ნამუშევართა რენტგენოგრაფირება მოახდინონ კლინიკაშიც.
- დასრულდა ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი კორპუსის რეკონსტრუქცია, სადაც მოზრდილი ფართი დაეთმობა მუზეუმში დაცული არტეფაქტების გამოფენას. ამავე კორპუსის პირველ სართულზე დასასრულს უახლოვდება საგამოფენო სივრცის მოწყობა, სადაც დაგეგმილია შუა საუკუნეების ქართული რელიეფური სკულპტურის გამოფენის გახსნა.

მუზეუმთა ჯგუფში შემავალ მუზეუმებში 2023 წელს გამართული გამოფენები

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

1. მანანა თუმანიშვილი. პერსონალური გამოფენა;
2. მოქანდაკე რუსუდან გაჩეჩილაძე. რეტროსპექტული გამოფენა;
3. ზურაბ გიკაშვილი. რეტროსპექტული გამოფენა;
4. კარლო გრიგოლია. *უკომპრომისო ხელოვნება;*
5. გიორგი კუხალაშვილი. *ზღურბლს მიღმა;*
6. ჯემალ კუხალაშვილი. რეტროსპექტივა;
7. ჩინგიზ ფარზალიევი. *Along the steps of time;*
8. *შალვა ძნელაძე – 130;*
9. მაკა ბატიაშვილი. პერსონალური გამოფენა;

10. გურამ/ ხიტა ქუთათელაძე. *ლანდშაფტების მაგია;*
11. ოთარ ჩხარტიშვილი. პერსონალური გამოფენა;
12. გელა პატიაშვილი. პერსონალური გამოფენა;
13. ავთო მოსიაშვილი. საიუბილეო პერსონალური გამოფენა;
14. *ედმუნდ კალანდაძე – 100;*
15. ოლგა და ალექსანდრე ფლორენსკები. *Made in Georgia;*
16. ბადრი ლომსიანიძე. *მეტამორფოზა;*
17. *ნინიკო მორბედაძე. რეტროსპექტივა;*
18. რასიმ ჰასანოვი. *ძილისგან გაღვიძებს;*
19. პერ ჰესი. *In the light of neon;*
20. თამაზ ვარვარიძე. *რეტროსპექტული გამოფენა;*
21. სოლომონ გერშოვი. *სოლომონი;*
22. ოლეგ ტიმჩენკო. *გართობის იკონოგრაფია;*
23. თამარ დე ლეტე ვაჩნაძე. პერსონალური გამოფენა;
24. ბექა საყვარელიძე. პერსონალური გამოფენა. *ვიღაცა ურევს;*
25. მირონ შველიძე. *რეტროსპექტივა – მირო.*

სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

1. რჩეული ნამუშევრები სიღნაღის მუზეუმის ფონდებიდან;
2. *ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია, ნაწილი IV;*
3. *მარიამ ნაცვლიშვილის ფერწერა.* ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა;
4. *იაპონური თოჯინების ხელოვნება და სილამაზე.* იაპონიის ფონდისა და იაპონიის საელ-ჩოს პროექტი (საქართველოს კულტურისა და სპორტისა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით).

თანამშრომლებისა და ცალკეულ შემოქმედთა მიერ განხორციელებული სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროექტები

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

1. სამხატვრო აკადემიის მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა მო-ამზადეს ფიროსმანის განახლებული ექსპოზიციის თანმხლები შემეცნებით-გასართობი პროგრამა 8-10 წლის მოზარდებისთვის;
2. *შეხვედრა კურატორთან.* გურამ (ხიტა) ქუთათელაძის გამოფენა;
3. მხატვარ გელა პატიაშვილის გამოფენის საინფორმაციო-შემეცნებითი ტური;
4. მაკა ბატიაშვილის შემოქმედებითი ტური – *რას ხატავენ ბავშვები;*
5. გურამ (ხიტა) ქუთათელაძე. *ლანდშაფტების მაგია;*
6. მხატვარ მაკა ბატიაშვილის *მასტერკლასი ბავშვებისთვის;*
7. კურატორის ტური – *ფიროსმანი;*
8. შემეცნებით-გასართობი პროგრამა საქველმოქმედო ფონდ *საქართველოს კარიტასის* ბე-ნეფიციარებისთვის;
9. გელა პატიაშვილი. *ნოე და კიდობნის ახლებური ინტერპრეტაცია;*
10. შემეცნებით-გასართობი პროგრამა მოზარდებისთვის. *ფიროსმანი დეტალებში;*

11. კურატორის ტური – *XX საუკუნის ქართული ქანდაკება;*
12. შემეცნებით-გასართობი პროგრამა – *ხელოვნება და სიცოცხლე დედამიწაზე;*
13. პროგრამა – *გალერეის კეთილი ნების ელჩები* (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის/GIPA-ს მედიახელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები);
14. შეხვედრა მხატვარ ნინიკო მორბედაძესთან;
15. საგანმანათლებლო – შემეცნებით პროგრამა – პერ ჰესი. *ნეონის ფერადოვნება.*

სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

1. *გამოფენა – რჩეული ნიმუშები სიღნაღის* ისტორიულ-ეთნოგრაფიული *მუზეუმის ფონდებიდან.* გამოფენის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო გაკვეთილები თემებზე: *ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ისტორია; რას მოგვითხრობენ წნორის დიდი ყორღანები; ნიკო ფიროსმანი.*
2. მუზეუმების საერთაშორისო დღის – 18 მაისისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო პროგრამები: *ნუმიზმატიკის ისტორია; სიღნაღის ისტორია.*
3. შემეცნებით – გასართობი პროგრამა ფიროსმანის თემაზე – *თავსატეხის საიდუმლო;*
4. საგანმანათლებლო პროექტი იაპონური გამოფენისათვის – *რას მოგვითხრობენ თოჯინები.*

მუზეუმთა ჯგუფში შემავალ ინსტიტუციებში 2023 წელს ვიზიტორთა რაოდენობა

- სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – 18 875 ვიზიტორი;
- საქართველოს ეროვნული გალერეა – 56 809 ვიზიტორი.

ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა 2023 წლის ანგარიშები

ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის კურატორის ასისტენტ

ეთერ სულხანიშვილის ანგარიში

- ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის უპირველესი მიზანია აქ დაცული ქართული მხატვრული ქარგულობის უნიკალური კოლექციების ისტორიული და მაღალმხატვრული მნიშვნელობის, ასევე მასალის მალფუჭებადობის გამო სამუზეუმო საცავებსა თუ საგამოფენო სივრცეში თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების დაცვით სათანადოდ განთავსება. უაღრესად მნიშვნელოვანია მათი სამეცნიერო კვლევაც, შედეგების პუბლიკაცია, ასევე, პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო მიზნით, მათი გაცნობა ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, ურთიერთობა სხვადასხვა შემოქმედებითსა თუ სამეცნიერო წრესთან, მონაწილეობა ადგილობრივსა თუ საერთაშორისო პროექტებში.
- არტეფაქტების სიძველისა და საქარგი მასალის მალფუჭებადობის გამო მათი გარკვეული ნაწილი ხშირად საჭიროებს რესტავრაცია-კონსერვაციას. ფონდის თანამშრომელთა მიერ შერჩეული 19 ექსპონატი სათანადო დოკუმენტაციის შედგენით გადაეცა ნაქარგობისა და ქსოვილების რესტავრატორებს. მათი ნაწილი რესტავრირებულია, ნაწილის რესტავრირება გრძელდება[1].
- 2023 წელს ხელოვნების მუზეუმში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო გადაწყდა ექსპონატების ევაკუაცია და განთავსება ახალი სამუზეუმო საცავის თაროებსა და კა-

1 ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციათა შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავად რესტავრატორ-კონსერვატორთა პერსონალურ ანგარიშებში.

რადებში, რაც რესტავრატორთა დახმარებით განახორციელა ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის კურატორმა გულნაზ ბარათაშვილმა.

- გამოწვევად რჩება არტეფაქტებისათვის შესაბამისი სრულყოფილი პირობების შესაქმნელად დამატებითი სტელაჟების დამონტაჟება.
- ძველი ქართული ქარგულობის ტრადიციების გაცნობისა და საგანმანათლებლო მიზნით, ფონდის თანამშრომელთა მიერ ხორციელდება კონსულტაცია-შეხვედრები სტუდენტებთან, მოსწავლე-ახალგაზრდებთან, ასევე საპატრიარქოს მქარგველთა ჯგუფთან.
- ფონდში დაცული არტეფაქტების საერთო რაოდენობაა 5107. ისინი თარიღდება XII-XX სს-ით, შესრულებულია სხვადასხვა მასალითა (ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ვერცხლისა და ოქროს თმა, აბრეშუმი, ფარჩა, დიბა, შალი, ჩითი, ძვირფასი ქვები, ლითონი...) და ტექნიკით (ნაქარგი, ნაქსოვი, მძივური ნაქარგობა, დაზგაზე ნაქსოვი...), აქვს საეკლესიო (მიტრები, ენქერები, ოლარ-ომოფორები, საკოსები, დაფარნები, საბუხარები, გარდამოხსნები, სამღვდელმთავრო ქამრები...) და საერო (ქალისა და მამაკაცის სამოსი,ხალიჩა-ფარდაგები, მაფრაშები, სუფრები, სუზანები, ასალები..) დანიშნულება.
- 2023 წელს მუზეუმის ყოფილმა თანამშრომელმა ირინე ძუცოვამ (ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში) მუზეუმს საჩუქრად გადასცა XVIII ს-ის ჯვრული დაფარნა (ექსპონატი სარესტავრაციოა).
- ფონდის კოლექციების აღრიცხვა-დაცვის ძველ მეთოდებში (პასპორტიზაცია, ფოტოფიქსაცია...) შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც, არსებითად, მდგომარეობს ინფორმაციული და ვიზუალური ხასიათის კარტოთეკის სისტემატიზირებაში, მათ შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნაში.
- 2022-2023 წლის სასწავლო წლიდან საშუალო სკოლის მე-11 კლასში ისწავლება ახალი საგანი – *ხელოვნების პროექტით სწავლება,* რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ ჩაბმას სამუზეუმო საქმიანობაში, კოლექციების გაცნობას, ფოტო და ვიდეოგადაღებას, მუზეუმის თანამშრომლებთან შეხვედრებსა და მათგან სათანადო ინფორმაციის მიღებას. ფონდის თანამშრომელთა დიდი სურვილის მიუხედავად, ამ საგანმანათლებლო მისიის შესრულება მუზეუმის რეკონსტრუქციისა და ნაქარგი ექსპონატების სხვადასხვა სივრცეში განთავსების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია.
- 160-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები ამზადებენ პროექტს – *XIX ს-ის თბილისური სამოსი* (ხელმძღვანელი ეთერ სულხანიშვილი).
- 2024 წლის გეგმით გათვალისწინებულია სარესტავრაციოდ შეირჩეს ძლიერ დაზიანებული ექსპონატები, ამასთან, მოძიებულ იქნეს რესტავრაცია-კონსერვაციისათვის საჭირო მასალა (ნატურალური ქსოვილი და ძაფი). 2024 წელს კვლავ აქტუალურია საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელება.

ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდები

პასუხისმგებელი პირის ხათუნა კიკვაძის

ანგარიში

- ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქციის გამო 2023 წელს განხორციელდა ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდის ევაკუაცია (8. 02.2023-31.07.2023) ძველი საცავიდან სათანადოდ აღჭურვილ ახალ საცავში.
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები გრაფიკის ფონდის კუთვნილი 8975 ექსპონატის ევაკუაციისათვის, რომელიც 2024 წელს გაგრძელდება.
- ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდში დაცულია 4008 ექსპონატი 2023 წელს შესყიდულ და ნაჩუქარ ნამუშევართა ჩათვლით. 2023 წელს ფონდი შეივსო 7 ქართველი მხატვრის ახალშესყიდული 38 სურათით, ასევე მუზეუმს დაუბრუნდა მისი კუთვნილი და სხვადასხვა გარემოების გამო მის მიღმა დაცული ნამუშევრების – ო. სულავას 2 და აპ. ქუთათელაძის 1 სურათი. გარდა ამისა, მუზეუმს ავტორთა ოჯახებმა, კოლექციონერებმა და ცალკეულმა გალერისტებმა საჩუქრად გადასცეს მხატვრების – ბ. ლომსიანიძის, ს. ქობულაძის, ს. ჩერქეზიშვილისა და ვ. როხლინას თითო ნამუშევარი.
- 2023 წელს ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდების ექსპონატები ექსპონირებული იყო დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეასა და გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართულ არაერთ გამოფენაზე:
- *ავტოპორტრეტი სარკესთან* (დავით გურამიშვილის, გიგო ზაზიაშვილის, ალექსანდრე მრევლიშვილის, შალვა ქიქოძის, დავით კაკაბაძის, დიმიტრი შევარდნაძის, ლადო გუდიაშვილის, ფელიქს ვარლამიშვილის, ქეთევან მაღალაშვილის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ლევან ცუცქირიძის, ვასილ ჯორჯაძის 12 ავტოპორტრეტი)
- ზურაბ გიკაშვილის პერსონალური გამოფენა (2 სურათი);
- *ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია – III ნაწილი* (გამოიფინა ქართველი მხატვრების ახალშესყიდული 27 ნამუშევარი);
- გურამ (ხიტა) ქუთათელაძის გამოფენა *ლანდშაფტების მაგია* (6 ტილო);
- ოთარ ჩხარტიშვილის პერსონალური გამოფენა (ერთი ნამუშევარი);
- ედმონდ კალანდაძის საიუბილეო გამოფენა – *ფიქრი ფერით* (3 სურათი);
- ოლგა და ალექსანდრ ფლორენსკების გამოფენა – *დამზადებულია საქართველოში* (4 ტილო და 2 ციკლი – *ანბანი* (33 ნამუშევარი) და *25 ქართველი სიმპათიური მამაკაცი* (25 ნამუშევარი);
- ნინიკო მორბედაძის რეტროსპექტივა (2 სურათი);
- ვერა ფაღავას გამოფენა – *მდუმარე ქალაქები* (თი ბი სი გალერეა. 3 ნამუშევარი)
- გიგო გაბაშვილის გამოფენა (გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 8 სურათი).
- ადგილობრივი გამოფენების გარდა, ფონდებში დაცულმა ექსპონატებმა მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენებშიც:
- ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმსა (04.05.2023-20.08.2023. დანია) და ბაზელში, ბეილერის სამუზეუმო ცენტრში (17.09.2023 – 28.01.2024. შვეიცარია) გამართულ გამოფენაზე – *ფიროსმანის ტური*. ექსპონირებული იყო ნიკო ფიროსმანის 48 ნახატი. საქართველოში 2024 წლის 8 თებერვალს მათი დაბრუნების შემდეგ ისინი მუზეუმის შინაგანაწესის შესაბამისად იქნა მიღებული და განთავსებული დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის საცავში.
- ბრიუსელში (ბელგია) ჩატარებული ფესტივალი – *ევროპალია საქართველო* ითვალისწინებდა ქართული ხელოვნების ორი გამოფენის გამართვას. პირველ გამოფენაზე (27.10.2023-18.02.2024) – *საქართველო – შეხვედრების ადგილი* წარმოდგენილი იყო ფიროსმანის სურათი *გვიმრაძეების ქეიფი* და უცნობი ავტორის *ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ქალიშვილის პორტრეტი.*

მეორე გამოფენაზე კი – *ავანგარდი საქართველოში* – 1900-1936 ევროპელები გაეცნენ 12 ქართველი ავანგარდისტი მხატვრის 66 ნამუშევარს.

- 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდების ექსპონატთა მონაწილეობა კრაკოვის (პოლონეთი) ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაში – *ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება.* აქ წარმოდგენილი იქნება ქართული დაზგური მხატვრობა XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით– თბილისური პორტრეტული სკოლის წარმომადგენელთა 16 ნამუშევარი, ნიკო ფიროსმანის 16 სურათი, მათ შორის, მირზაანში მხატვრის სახლ-მუზეუმის კოლექციიდან 5 ნამუშევარი და ქართული მოდერნიზმის კოლექცია. ქართველ ხელოვანთა გარდა, კრაკოვში ექსპონირებული იქნება ჩვენს ფონდებში დაცული საქართველოში მოღვაწე პოლონელი და გერმანელი მხატვრების: ჰენრიხ ჰრინევსკის, ილია ზანკოვსკის, მიხეილ ვადბოლსკის, ზიგმუნტ ვალიშევსკის სურათები, გერმანელების – ოსკარ შმერლინგის გრაფიკული ნამუშევრები და პაულ ფონ ფრანკენის სურათი *თბილისის პანორამა.*
- 2024 წელს დაგეგმილია ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის მუდმივმოქმედი გამოფენის კონცეფციის შემუშავება და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეორე კორპუსის ახალგარემონტებულ საგამოფენო სივრცეებში გამოფენის მოწყობა.

არქიტექტურული ფრაგმენტების ფონდის კურატორის მოადგილე ნინო ცინცაძის ანგარიში

- მუზეუმის რეკონსტრუქციის გამო ფონდის მთავარი მიზანია ექსპონატების გადატანა ახალ საცავში, ასევე ახალი საგამოფენო სივრცის კეთილმოწყობა, მათში ექსპონატთა უსაფრთხოებისთვის საჭირო კლიმატისა და ტენიანობის კონტროლი.
- მიმდინარეობს მუზეუმის ყოფილ საგამოფენო სივრცეში კედელზე დამონტაჟებული ფოთოლეთისა (X ს.) და სათხის (XII ს.) კანკელების დაშლა, კედლიდან ჩამოხსნა ახალ საცავში გადასატანად, ხოლო ფონდის ხის ექსპონატები, ფაქტობრივად, უკვე უსაფრთხოდ განთავსდა საცავის მათთვის განკუთვნილ სტელაჟებსა და სადგამებზე.
- განსაკუთრებული გამოწვევა და პასუხისმგებლობა იყო 2023 წელს ბრიუსელში (ბელგია) ფესტივალ -*ევროპალია საქართველოს* ფარგლებში მოწყობილ გამოფენაზე ექსპონირებული არქიტექტურული ფრაგმენტების ფონდის კუთვნილი 16 ექსპონატის შერჩევა, რესტავრატორთა მიერ მათი გაწმენდა; საჭირო დოკუმენტაციისა და საგამოფენო ანოტაციების შედგენის შემდეგ შეფუთვა.
- გამოწვევაა ასევე 2024 წელს კრაკოვში (პოლონეთი) დაგეგმილ გამოფენაში – *ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება* მონაწილეობის მისაღებად ფონდის ექსპონატების შერჩევა და სტანდარტული წესების დაცვით მომზადება.
- ფონდში ირიცხება შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ფრაგმენტების შესანიშნავი ნიმუშები– სულ 1417 ექსპონატი.
- 2023 წელს ფონდს შეემატა ორი ექსპონატი: 1. გველდესის კანკელის სვეტის (VIII-IX სს.) ფრაგმენტი (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრიდან); 2. სათხის კანკელის (XII ს.) ფრაგმენტი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან)
- საფონდო მასალის სრულად დოკუმენტირება-აღრიცხვის ძველი მეთოდების პარალელურად განხორციელდა მათი გაციფრება/მონაცემთა დაფიქსირება ელექტრონული სახით. ახალი ექსპონატების შემომატებისას მათ შესახებაც მონაცემები სტანდარტული წესითვე მუშავდება ელექტრონულად.

- მიმდინარეობს მზადება ხელოვნების მუზეუმის ახალ საგამოფენო სივრცეში 2024 წელს დაგეგმილი გამოფენისათვის – *შუა საუკუნეების ქართული რელიეფური სკულპტურა*.
- 2024 წელს დაგეგმილია: 1. ქვის ექსპონატების გადატანა ახალ საცავში; 2. მოწყობა გამოფენისა – *შუა საუკუნეების ქართული რელიეფური სკულპტურა;* 3. ამ გამოფენაზე ექსპონირებული ძეგლებისთვის ანოტაციებისა და გამოფენასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის ტექსტის (*შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის მოკლე მიმოხილვა*) შედგენა.

ფერწერული ხატებისა და მინიატიურათა ასლების ფონდის კურატორის უფროს ასისტენტ

ნინო აზაურაშვილის ანგარიში

- 2023 წელს ფონდის მიზანი იყო მუზეუმში სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვით საფონდო ექსპონატების გადატანა (ამოლაგება ყუთებიდან, განფუთვა, აღრიცხვა, კოლექციათა მიხედვით დალაგება წინასწარ მომზადებულ სტელაჟებზე) ახალ საცავში.
- საფონდო მასალის ძირითადი ნაწილი (მინიატიურათა ასლების სრული კოლექცია- 130 ექსპონატი; აღსავლის კარები – 17 ერთეული; ხატების კოლექციის 2/3 – 585 ერთეული) უკვე განთავსდა ახალ საცავში. შესაბამისად, სააღრიცხვო დავთრების ელექტრონულ ვერსიებში დამატებულ იქნა მონაცემები ექსპონატთა განთავსების ახალი ადგილების შესახებ.
- ფონდის მთავარ გამოწვევად რჩება ახალ საცავში სიმაღლის რეგულირებადი და თაროებიანი ფართო სტელაჟების არქონა.
- ფონდში დაცულია შუა საუკუნეების ქართული ფერწერული (ხესა და ტილოზე შესრულებული) ხატები; ხელნაწერი წიგნების მინიატიურათა ასლები; აღსავლის რამდენიმე (ხის) კარი და ჭვირული ტექნიკით შესრულებული და ფერწერული მედალიონებით გაფორმებული მათი ფრაგმენტები. სულ 942 ექსპონატი.
- ექსპონატების სიძველისა და მასალის სიმყიფის გამო ისინი საჭიროებენ მუდმივ დაკვირვებას, გარკვეულ შემთხვევაში პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებებით დამუშავებას ან რესტავრირებას. 2023 წელს სამი ხატი შეიწამლა; ოთხი ხატი რესტავრირდა სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში (რესტავრატორი ზეინაბ ჯაში); ხელნაწერ წიგნთა მინიატიურების 5 ასლის ფურცლების დეფორმაციათა გამო განხორციელდა მათი ჩარჩოებიდან ამოღება და შემდგომი დეფორმირების თავიდან აცილების მიზნით, სათანადო წესით ახალი საცავის თაროებზე ჰორიზონტალურად განთავსება (რესტავრატორი ნინო ბურდული).
- 2023 წელს ფონდს დაუბრუნდა სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დროებით გადატანილი მისი კუთვნილი 20 ექსპონატი – 17 ხატი და მინიატიურის 3 ასლი. მათი გადმოცემა შედგა სათანადო დოკუმენტაციის შედგენისა და რესტავრატორთა თანდასწრებით მათი აღრიცხვა-შემოწმების საფუძველზე.
- 2023 წელს გაგრძელდა ექსპონატთა სააღრიცხვო დავთრების გაციფრება, დასრულდა ხელნაწერ წიგნთა მინიატიურების შესახებ მონაცემთა ელექტრონული ვერსიის შედგენა.
- 2024 წლის სამოქმედო გეგმაა ხატების კოლექციის დარჩენილი ნაწილის – 230-მდე ტილოზე შესრულებული, ძლიერ დაზიანებული, მუყაოებზე ჰორიზონტალურად დაფენილი ექსპონატების ამოლაგება ყუთებიდან, მათი აღრიცხვა და განთავსება თაროებზე.

არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების ფონდის კურატორის მოადგილე

ნინო გედევანიშვილის ანგარიში

- 2023 წელს ფონდში მუშაობის ძირითადი მიზანი იყო მუზეუმის ძველი საცავიდან ექსპონატთა უსაფრთხოდ, ეტაპობრივად გადატანის პროცესის დასრულება და მათი განთავსება ახალ სივრცეში. უწინარესად, მავნე მწერების გავრცელების საშიშროების თავიდან ასაცილებლად რესტავრატორთა მიერ გატარდა სპეციალური ღონისძიება, რის შემდეგ სამუშაო ჯგუფის დახმარებითა და ფონდის სტაჟიორ თ. ქიტიაშვილის (ამჟამად ფონდის ასისტენტის) მონაწილეობით, სტანდარტული წესების დაცვით, საფონდო მასალა კოლექციების მიხედვით განლაგდა ახალი საცავის სტელაჟებსა და კარადებში.
- ახალ ფონდსაცავში წლის განმავლობაში კონტროლდებოდა ტემპერატურისა და ტენიანობის მონაცემები, რომელთა თანახმად საცავში შენარჩუნებულია მეტ-ნაკლებად სტაბილური, მისაღები ტემპერატურულ-კლიმატური რეჟიმი, არ ვლინდება მავნე მწერებიც. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ექსპონატები ახალ სივრცეში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ საარსებო პირობებშია დაბინავებული, რომელთა კონტროლიც გრძელდება.
- არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების ფონდი მოიცავს ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა და საერო დანიშნულების ნაგებობათა, მათ შორის, დღეს უკვე არარსებულთა ნახაზებს, ანაზომებს, კროკებს, ჩანახატებს, აკვარელებს, პროექტებს, ფოტოებს, ნეგატივებსა და მათს ანაბეჭდებს, სულ 7775 ექსპონატს. მიმდინარე წელს ფონდში ახალი მასალა არ შემოსულა.
- ექსპონატთა აღრიცხვა-დოკუმენტირების პროცესში ძველი მეთოდით-წერილობით აღწერა-აღნუსხვისა და ფოტოფიქსაციის პარალელურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის საფონდო მასალის ფოტოებისა და მონაცემთა ელექტრონული ბაზის ინტენსიური შევსება;
- 2024 წელს დაგეგმილია გაგრძელდეს ყველა სახის საფონდო სამუშაო -მასალის ატრიბუცია, ფოტოფიქსაცია, ელექტრონული ვერსიების დაზუსტება, ფოტოებისა და მონაცემთა ბაზების შევსება.... ამის პარალელურად განსაზღვრულია საფონდო მასალის მიხედვით სამეცნიერო-თემატური კატალოგების შესადგენად მოსამზადებელი სამუშაოს დაწყება.

არქეოლოგიის ფონდის კურატორ

ნაზი ხუნდაძის ანგარიში

- ფონდის ძირითადი მიზანი იყო აქ დაცულ ექსპონატთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის ხელახალი გადამოწმება-შეჯერებისა და ფოტოფიქსაციის (ფოტოგრაფი ზაზა ბესელია) დაწყება; სარესტავრაციოდ ექსპონატთა შერჩევა, ასევე მუზეუმის თანამშრომელთა მიერ (ერმინე მაღრაძე, ნანა გოგინაშვილი, მანანა წერეთელი, ხათუნა სონღულაშვილი, ნაზი ხუნდაძე) საგანძურის ფონდში შესანახად შერჩეული ძვირფასი ლითონის არტეფაქტების გადაცემის აქტების მოწესრიგება.
- ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშთა კვლევისა და ექსპერტიზის ახალშექმნილ ლაბორატორიას (ნანა გოგინაშვილი, ლელა წიწუაშვილი) შესაბამისი აქტით კომპლექსური კვლევისათვის გადაეცა ბრინჯაოსა და რკინის 16 ექსპონატი; უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო სივრცეში ექსპონირებისათვის რესტავრატორთა (ნანა გოგინაშვილი, ერმინე მაღრაძე) მიერ დამატებით სათანადოდ მომზადდა უფლისციხური საფონდო არტეფაქტები.
- ძირითადი გამოწვევაა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის აქტების მოწესრიგება, რაც ნაწილობრივ შესრულდა ფონდის თანამშრომელთა (მანანა წერეთელი, ხათუნა სონღულაშვილი) მიერ და შეჯერდა ისინი აღრიცხვა-და-

ცვის განყოფილების აქტებთან; გამოწვევაა ექსპონატების განსათავსებლად სპეციალური მაღალხარისხიანი ყუთების ნაკლებობაც.

- არქეოლოგიის ფონდში დაცულია 38 კოლექცია, რომლებშიც გაერთიანებულია მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ძეგლის გათხრისას მოპოვებული 17 688 არტეფაქტი. 2023 წელს ფონდში არ შემოსულა ახალი მასალა, რადგან 2005 წლიდან საექსპედიციო სამუშაოები აღარ ჩატარებულა.
- საფონდო მასალის უკეთ დოკუმენტირების მიზნით, მოხდა ცალკეულ რეგიონში (უფლისციხეში) მოპოვებული არტეფაქტების ხელახალი ხარისხიანი ფოტოფიქსაცია და მონაცემების ელექტრონული აღრიცხვა; დაწყებულია მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა თანმიმდევრობით დანარჩენი კოლექციებისთვისაც.
- არქეოლოგიის ფონდი თავისი სპეციფიკის გამო მუდმივად თანამშრომლობს ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშთა კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიასთან; ასევე ლითონის არქეოლოგიური ნივთების დამზადების ძველი ტექნოლოგიების კვლევის სპეციალისტთან, მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელ ერმინე მაღრაძესთან. ამ უკანასკნელის მიერ დადგინდა არაერთი არქეოლოგიური ნივთის (მაგ., უფლისციხური რკინის მუფელის..) ფუნქცია და აღდგენილ იქნა მისი დამზადების ძველი ტექნიკური ხერხები. მუზეუმის უფლისციხის ფონდი (ნაზი ხუნდაძე) ინტენსიურად პარტნიორობს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალთან.
- ფონდის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობა: ბრიუსელში (ბელგია) გამართულ ფესტივალ *ევროპალია საქართველოს* ფარგლებში უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის ჩატარდა ლექციები თემებზე: ა) *საქართველოს ეროვნული მუზეუმის როლი უფლისციხის ისტორიულ – არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის როგორც მდგრადი მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში მისი არქელოგიური ექსპონატების მეშვეობით* (ნაზი ხუნდაძე); ბ). ლექცია – დისკუსია: *რა უნდა შენარჩუნდეს მემკვიდრეობაში? უფლისციხე – ძვ.წ. II-I ათასწლეულების ძეგლი და როგორც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების წევრობის კანდიდატი 2007 წლიდან* (ლევან ლოსაბერიძე).
- ფონდის თანამშრომელების მიერ განხორციელდა პროექტები:1.*კულტურული ღონისძიებები საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისათვის*. ჩატარდა პროექტით გათვალისწინებული ონლაინლექცია: *საქართველოს არქეოლოგია. ქვის ხანა* (ხათუნა სონღულაშვილი); 2. გამოიცა უფლისციხის ამაგდარი მკვლევრის, დავით ხახუტაიშვილის, 100 წლის თავისადმი მიძღვნილი წიგნი *უფლისციხე* (პროექტის ავტორი ნაზი ხუნდაძე, მონაწილეები : მანანა წერეთელი, დავით მინდორაშვილი, ნანა ხახუტაიშვილი, ერმინე მაღრაძე, ნინო ნადარაია, მედეა წოწელია, ირაკლი ხუციშვილი, ზაზა ბესელია). წიგნის პრეზენტაციაზე პროექტის მონაწილის, ძველი ტექნოლოგიების კვლევის სპეციალისტ, ერმინე მაღრაძის გამოსვლის შემდეგ ნაჩვენები იქნა მის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ასახავდა უფლისციხეში აღმოჩენილი საიუველირო სამარჯვი ხელსაწყოს აღდგენისა და მისი მეშვეობით ძველი ტექნოლოგიით ვერცხლისა და ოქროს თმის მიღების უნიკალურ პროცესს. ამავე პროექტით უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო დარბაზში განახლდა ექსპოზიცია; გადაღებულ იქნა ამ გამოფენის ამსახველი ფილმი (მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები: ბადრი გასპაროვი, ინგა ზაქარაშვილი, ლალი ბერიკაშვილი; ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები: ერმინე მაღრაძე, ნაზი ხუნდაძე, ხათუნა სონღულაშვილი, ნანა გოგინაშვილი); ზედამხედველობა გაეწია ურავლის აგარის მონასტრის სამრეკლოს სარესტავრაციო სამუშაოებს (ქეთევან ჩიგოგიძე).
- 2024 წლიდან დაგეგმილია: დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციები უფლისციხესა და საირხეში; ექსპონატების სააღრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონული ფიქსაციის გაგრძელება; ფონდის სხდომებზე თანამშრომელთა სამეცნიერო თემების მოსმენა და სამეცნიერო სტატიების (ნაზი ხუნდაძე, ხათუნა სონღულაშვილი, მანანა წერეთელი) მომზადება; პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო სივრცისათვის უფლისციხურ გამორჩეულ არტეფაქტთა ასლების (ერმინე მაღრაძე, ნაზი ხუნდაძე, ნანა გოგინაშვილი, ბადრი გასპაროვი) დამზადება.

საინფორმაციო კოლექციების კურატორ

ნანა გოგელიას ანგარიში

- ფონდის მიზანია თანამშრომელთა (ნანა გოგელია, ნონა ხარატიშვილი, მანანა ალფენიძე, ნათელა ლომიძე) მიერ აქ დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთათვის (რარიტეტული წიგნები, მემორიალური ხელნაწერები, საარქივო მასალა, ნაბეჭდი პროდუქცია) დაცვის სათანადო პირობების შექმნა – კლიმატისა და ტენიანობის მუდმივი კონტროლი; გამოუქვეყნებელი საფონდო მასალის შესწავლა და მათ მიხედვით ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გასაჯაროება-პოპულარიზაცია სამეცნიერო პროდუქციის შექმნის, ასევე სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის სახით. გარდა ამისა, თანამშრომელთა მოვალეობაა, დაეხმარონ სხვა მკვლევრებს საფონდო – სამეცნიერო საქმიანობაში, რაც განხორციელდა 2023 წელსაც.
- გამოწვევაა ფონდში დაცული ძველი ხელნაწერი კოლექციების – ხელოვანთა პირადი საარქივო დოკუმენტაციის ნაწილის რესტავრირება, რაც, ფონდის თანამშრომელთა ძალისხმევის მიუხედავად, ჯერ სრულად ვერ მოხერხდა.
- 2023 წელს დასრულდა 2021 წელს დაწყებული ხელნაწერთა მემორიალური და ბიბლიოთეკის წიგნების ფონდების სრული ინვენტარიზაცია-შეჯერება, პარალელურად მათი გაციფრება – მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა (ნანა გოგელია, ნათელა ლომიძე, მანანა ალფენიძე, ნონა ხარატიშვილი, დამხმარეები: ეთერ სულხანიშვილი, ინგა ბრეგვაძე, ნაზი ხუნდაძე). გაციფრული დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა, რომ მკვლევრებს შეხება აღარ ჰქონდეთ ორიგინალებთან და ინფორმაცია მიიღონ გაციფრული მასალიდან.
- საინფორმაციო კოლექციები მოიცავს ორ ფონდს – ხელნაწერთა მემორიალურ ფონდსა და ბიბლიოთეკას. ხელნაწერთა მემორიალურ ფონდში ინახება მხატვრების, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, დოკუმენტები (ყველაზე ადრეული XIX ს-ის II ნახევრის), ალბომები, ფოტოები, ნეგატივები, კატალოგები, აფიშები, ნახაზები, გრაფიკული ნამუშევრები და მუზეუმის თანამშრომელთა წლიური ანგარიშები. სულ ხუთი ათასამდე ერთეული. 2023 წელს ამ ფონდს შეემატა მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის პირადი არქივი, მიმდინარეობს მისი სისტემატიზაცია და შეტანა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ბიბლიოთეკაში ირიცხება 65560 წიგნი და პერიოდული გამოცემა. მათგან ყველაზე ძველი თარიღდება XVI სსით. აქ დაცულია ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა 14442 პირადი წიგნებისგან შემდგარი კოლექციებიც. ბიბლიოთეკა სტაბილურად ივსება მკვლევართა მიერ შემოწირული ახალი წიგნებითა და ეროვნული მუზეუმის გამოცემებით.
- საინფორმაციო კოლექციების თანამშრომელთა მიერ აღრიცხვა-დაცვის ტრადიციული მეთოდის პარალელურად, შედარებით ახალი მეთოდის – საფონდო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნის მიუხედავად, აუცილებელია მსოფლიო სამუზეუმო საქმიანობაში აპრობირებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით მალფუჭებადი საფონდო მასალის სკანირება და მაღალხარისხიანი ფოტოფიქსაცია, რაც ჯერ ვერ ხორციელდება მათი არარსებობის გამო.
- 2022-2023 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლების მე-10 კლასში სავალდებულო საგნად დაინერგა *ხელოვნების პროექტებით სწავლა.* ის ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ ჩაბმას სამუზეუმო საქმიანობაში (კოლექციების გაცნობა, ფოტო და ვიდეოგადაღება; შეხვედრები ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებსა და მუზეუმის თანამშრომლებთან), რაც მუზეუმში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო სრული დატვირთვით ვერ ხერხდება.
- საინფორმაციო კოლექციების ფონდის კურატორის (ნანა გოგელია) მეგზურობითა და ხელმძღვანელობით 2023 წელს თბილისის 50-ე სკოლის მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა მუზეუმში დაცულ კულტურულ მემკვიდრეობას.
- 2024 წელს დაგეგმილია გაგრძელდეს: ფონდის თანამშრომელთა მიერ მეცნიერ-მკვლევართა მომსახურება; სამუზეუმო საქმიანობაში მოსწავლეთა და სტუდენტთა ჩართვა; ახალგადმოცემული დოკუმენტაციისა და წიგნების სისტემატიზაცია-აღრიცხვა, მონაცემთა შეტანა ელექტ-

რონულ ბაზაში; ახალ სამუზეუმო სივრცეში რესტავრატორთა ჩართულობითა და სტანდარტული წესების დაცვით კოლექციების უსაფრთხოდ განთავსება და სისტემატიზაცია.

- 2024 წელს საინფორმაციო კოლექციების ფონდის თანამშრომელთა მონაწილეობით დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: 1. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადების 125 წლის თავთან დაკავშირებით 1962 წელს ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი მისი ნაშრომის– *ქართული მინანქარი* თარგმნა და გამოცემა; 2. ხელოვნების მუზეუმის საგანძურის პირველი მცველის, იროდიონ სონღულაშვილის, სამეცნიერო და სამუზეუმო მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიული წიგნი – ალბომის გამოცემა (ნონა ხარატიშვილი).

საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების უფროს კურატორ ნანა შერვაშიძის ანგარიში

- ფონდის თანამშრომელთა მიზანია, სამუზეუმო კოდექსის შესაბამისად, ექსპონატების აღრიცხვა-დაცვის პირობების მუდმივი ზედამხედველობა; კლიმატისა და ტენიანობის გაკონტროლება; სარესტავრაციო ნამუშევრების გამოვლენა და გადაცემა სარესტავრაციო – კვლევითი ლაბორატორიისათვის; ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშთა კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიასთან მუდმივი კოორდინაცია; ფონდის კუთვნილი ექსპონატების რესტავრირება-ექსპერტირების ორგანიზება და კონტროლი.
- 2023 წლისთვის განხორციელდა (ან დასრულდა წინა წლებში დაწყებული) სარესტავრაციო პროექტები, რომელთა შედეგად რესტავრირებულ იქნა და საცავში დაბრუნდა ევროპული და რუსული ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის 15 ექსპონატი (რესტავრატორები: ნინო მერაბიშვილი, მაია სეთურიძე, სესილი სორდია, ეკა თევზაძე, ნანა მანაგაძე, ზეინაბ ჯაში). გრძელდება 26 ექსპონატის რესტავრირება (რესტავრატორები: ეველინა კარსელი, ეკა თევზაძე, ნანა მანაგაძე, ნინო მერაბიშვილი, სესილი თორდია, მაია სეთურიძე, ნათია კორკოტაშვილი, ზეინაბ ჯაში)
- საფონდო საქმიანობაში ექსპონატების სრულყოფილი აღრიცხვა-დაცვისათვის და მათი სამეცნიერო-მხატვრული სტატუსის დასადგენად უმნიშვნელოვანესია, საჭიროების შემთხვევაში, მათი ატრიბუტირება და ახალი მონაცემების მოძიება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევა იყო კურატორ მერი მაცაბერიძის მიერ რუსული ხელოვნების კოლექციაში ჩატარებული კვლევა კომპლექსური (ისტორიული, ბიოგრაფიული, შედარებითი, სტილისტური) მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ, რუსი მხატვრების– ლეონ ბაქსტის (1866-1924) ორი ნამუშევრის ატრიბუცია, ასევე საარქივო და სხვა ახალ მასალაზე დაყრდნობით ვალენტინ სეროვისა (1865-1911) და ივანე აივაზოვსკის (1817-1900) სურათების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება.
- 2023 წელს ძირითადი გამოწვევა იყო ექსპონატთა აღწერა, ფოტოფიქსირება, გადაბარება, ახალ საცავში გადატანისთვის მომზადება, სამუზეუმო წესდების სრული დაცვით რესტავრატორებისა (ნანა მანაგაძე, ზეინაბ ჯაში, ნათია კორკოტაშვილი, ვახტანგ ხოშტარია) და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების (ნანა შერვაშიძე, ნინო ხინთიბიძე, ირაკლი ფანჩულიძე) მიერ მათი გადატანა ახალ საცავში და მათთვის განკუთვნილ სტელაჟებზე განთავსება. ეს რთული პროცესი გრძელდება ეტაპობრივად და ნაწილობრივ დასრულებულია. მიმდინარეობს დასავლეთევროპული ფაიფურის ნაკეთობათა აღწერა, ფოტოფიქსაცია და გადაბარება. შეფუთული და ახალ საცავში გადასატანად მზადაა რუსული ხელოვნების ფერწერის, გრაფიკის, ფაიფურისა და, ნაწილობრივ, ფერწერის კოლექციები.
- ახალ საცავში გადმოტანილ იქნა აგრეთვე განსაკუთრებული მხატვრული მნიშვნელობის ექსპონატები: იტალიელი მხატვრების – პაოლო ვენეციანოს (1300 ?-1362) მიერ შესრულებული პოლიპტიქი და ბერნარდო დადის (1290-1348) ტრიპტიქი. მათთვის სპეციალურად დამზადდა რესტავრატორი ნათია კორკოტაშვილი) შესაბამისი ყუთები და მათი ტრანსპორტირება ახალ საცავში განხორციელდა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

- მუზეუმს დაუბრუნდა 1994 წელს ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ფრანგი მხატვრის– ჟან შარდენის (1643-1713) სავარაუდო ავტორობით შესრულებული ფერწერული ტილო *ნატურმორტი.* მას ჩაუტარდა შესაბამისი კვლევა ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში და აგრეთვე რენტგენოგრაფია თოდუას კლინიკაში; მუზეუმში დაცულ დოკუმენტაციასთან შედარებითი ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გადმოცემული ნამუშევარი და მუზეუმიდან გატაცებული სურათი იდენტურია. მუზეუმიდან თითქმის 30 წლის წინ გატაცებული სურათი *ნატურმორტი* ამჟამად დაცულია საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების საცავში.
- საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციები აერთიანებს დასავლეთევროპული (3411 ექსპონატი), რუსული (3 231 ექსპონატი) და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების (1669 ექსპონატი) – ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ქანდაკების კოლექციებს. სულ საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციებში დაცულია 8 314 ექსპონატი.
- არტეფაქტების დოკუმენტაციისათვის, კოლექციების მართვისათვის აპრობირებულ მეთოდებთან (მონაცემთა შეტანა კარტოთეკასა და საინვეტარო წიგნში, პასპორტირება, ფოტოფიქსირება) ერთად დაინერგა ექსპონატთა ელექტრონული ფიქსაციის მეთოდი სრული ელექტრონული ბაზის შესაქმნელად, რაც ეტაპობრივად ხორციელდება.
- საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციები სისტემატურად მონაწილეობს (ნანა შერვაშიძე, მერი მაცაბერიძე) საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში: 2023 წელს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გაიმართა ფესტივალი *ევროპალია საქართველო.* გათვალისწინებული იყო ქართული ავანგარდული ხელოვნების გამოფენის მოწყობაც. საფონდო მასალა– XX საუკუნის დასაწყისის ტფილისის ავანგარდული ხელოვნების ნიმუშები წარმოდგენილ იქნა გამოფენაზე– *ავანგარდი საქართველოში* (პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების უფროსი კურატორი ნანა შერვაშიძე)
- 2024 წლისთვის თანამშრომელთა მიერ დაგეგმილია: ახალ საცავში საფონდო კოლექციების სრული ევაკუაცია; ექსპონატების შესახებ მონაცემთა ელექტრონული სახით ფიქსაციის გაგრძელება; მზადდება პოლონეთის ქალაქ კრაკოვში 2024 წლის მარტში დაგეგმილ გამოფენაზე (*ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება)* საფონდო მასალის ექსპონირება; ხელოვნების მუზეუმის ახალ საგამოფენო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების ახალი ექსპოზიციისათვის ექსპონატთა შერჩევა, სათანადოდ მოწესრიგება და ექსპოზიციის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა.

აღმოსავლური კოლექციების კურატორ

ირინა კოშორიძის ანგარიში

- აღმოსავლური კოლექციების მიზანია სავალდებულო საფონდო და სამეცნიერო საქმიანობა: არტეფაქტთა საცავის მუდმივი კლიმატ-კონტროლი; თავად არტეფაქტთა მეთვალყურეობა, მათი მონაცემების შეტანა ელექტრონულ ბაზაში (ელენე ჩხვირკია); არტეფაქტების დოკუმენტირება, მათი სამეცნიერო ატრიბუტირება, საარქივო მასალის მოძიება, ფოტოფიქსაცია და, საჭიროებისდა მიხედვით, რეინვენტარიზაციის განახლება (ფონდის ყველა თანამშრომელი); სარესტავრაციო-საკონსერვაციო არტეფაქტების გამოვლენა, აღრიცხვა და სამუზეუმო წესდებით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით გადაცემა (ირინა კოშორიძე, მარინე დგებუაძე, ნათია დემურიშვილი) რესტავრატორთათვის.
- 2023 წელს განხორციელებული ან გარდამავალი სარესტავრაციო პროექტები უკავშირდება ფონდში დაცული ყაჯარული ფერწერის უნიკალური ნიმუშების ტექნიკურ კვლევებსა თუ რესტავრირებას. ისინი მიმდინარეობს მუზეუმის პროფესიონალი რესტავრატორების (თამარ ბაკურაძე, სესილი სორდია), ასევე მოწვეული რესტავრატორ-კონსერვატორის (გვანცა ფო-

ცხიშვილი) მიერ. 2022-23 წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ცალკეული ფერწერული ტილოების რესტავრაცია-კონსერვაცია და ტექნიკური კვლევა, კერძოდ, სურათების: *ქალბატონი მოახლითა* და *ნადირ შაჰის პორტრეტი* (თამარ ბაკურაძე); *აღა მაჰმად ხანისა* და *შაჰ აბას I -ის* პორტრეტები (სესილი სორდია). ორივე პროექტი დასრულდება 2024 წელს. თუმცა, 2023 წლის 26 ოქტომბერს ხელოვნების მუზეუმში გამართულ საერთაშორისო მრგვალი მაგიდის მონაწილეებს რესტავრატორებმა წარუდგინეს თავიანთი კვლევების შუალედური შედეგები.

- აღმოსავლურ კოლექციებში[2] თავმოყრილია კავკასიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, აფრიკის ქვეყნების ხელოვნებათა ნიმუშები, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. I ათასწლეული-XX ს-ის დასაწყისია და მოიცავს ყველა მედიას, ორგანულსა და არაორგანულ მასალას (ლითონი, ხე, კერამიკა, მინა, ქსოვილი, ქაღალდი, დაზგური ფერწერა). მათი საერთო რაოდენობაა 5144 ერთეული. 2023 წელს მნიშვნელოვანი შენამატია 7 არტეფაქტი: აღმოსავლური საწერი მოწყობილობა – ლერწმის კალამი და მისი სათლელი ჯაყვა; მამაკაცის შუააზიური და აღმოსავლური თავსაბურავები; მინის მოხატული ბოთლი და XIX ს-ის იაპონური ფოტოალბომი უნიკალური 50 ფოტოთი (შემომწირველი აღმოსავლეთმცოდნე გრიგოლ ბერაძე).
- დღემდე პრობლემატურია სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შენობაში დროებით განთავსებული აღმოსავლური კოლექციების მუდმივი ექსპოზიციის არარსებობა, რის გამოც იძულებულნი ვართ, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებული არასტაბილურად გამართული დროებითი ექსპოზიციებით.
- 2023 წელს თანამშრომელთა მიერ და რესტავრატორთა ზედამხედველობით მოეწყო დროებითი გამოფენა. მასზე ექსპონირებული იყო 2022 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტით (*საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები* (ხელმძღვანელი ირინა კოშორიძე) გათვალისწინებული ყაჯარული დაზგური ფერწერა და ქაშმირისა და ქირმანის შალების კოლექციათა ნაწილი.
- საფონდო მასალის დოკუმენტირება-აღრიცხვისას ძველ მეთოდებთან ერთად (ექსპონატთა აღწერა, პასპორტიზაცია, ფოტოფიქსაცია) დაინერგა ინოვაცია – ექსპონატთა მონაცემების ელექტრონული ფიქსაცია (ელენე ჩხვირკია).
- თანამშრომლებმა, წინა წლების ტრადიციისამებრ, აღმოსავლურ კოლექციათა პოპულარიზაციისა და სამეცნიერო კვლევის მიზნით, 2023 წელს მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებსა და სხვა აქტივობებში: 2022 წელს რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გაიმარჯვა ფონდის თანამშრომელთა მიერ წარდგენილმა ორმა გარდამავალმა პროექტმა: 1. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები* (ხელმძღვანელი ირინა კოშორიძე); 2. *„სხვა“ დმანისის ისტორია: არაბობიდან ქართულ რეკონკისტამდე (VII-XII საუკუნეების დმანისის ისტორიისა და კულტურის ინტერდისციპლინური კვლევა ნაქალაქარის არქეოლოგიური ძეგლებისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მიხედვით* (ხელმძღვანელი ნათია დემურიშვილი); მიმდინარეობს ამ პროექტებით გათვალისწინებული მონოგრაფიული გამოცემებისათვის მუზეუმის თანამშრომელთა და სხვა აღმოსავლეთმცოდნეთა თუ აღმოსავლური არტეფაქტების რესტავრატორთა და ტექნიკურ მკვლევართა სამეცნიერო სტატიათა ტექსტების მომზადება, თავად მონოგრაფიები კი 2025 წელს გამოიცემა; 2023 წლის 26 ოქტომბერს ფონდის (ირინა კოშორიძე, მარინე დგებუაძე), ასევე მუზეუმის სხვა თანამშრომელთა (ლელა წიწუაშვილი) და მსოფლიოს ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეთა მონაწილეობით გაიმართა პირველი პროექტით გათვალისწინებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდა *ყაჯარული კოლექციების ინტერდისციპლინური კვლევები,* ასევე მეორე პროექტით სავალდებულო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – *შუა საუკუნეების კავკასიის ქალაქები – კვლევა და პერსპექტივები.* კონფერენციაზე სხვა მონაწილეებთან ერთად მოხსენე-

2 აღმოსავლური კოლექციების ფონდის ექსპონატები ხელოვნების მუზეუმის ძველ საცავში არსებული არასახარბიელო პირობების გამო 2010-2012 წლებში დროებით განთავსდა (დაფინანსდა ევროკავშირის პროექტით) სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ახალ საცავში დამონტაჟებულ სტელაჟებსა და კარადებში.

ბები წაიკითხეს ფონდის თანამშრომლებმა (ირინე კოშორიძე, ნათია დემურიშვილი, მარინე დგებუაძე).

- ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის მათი გაცნობის მიზნით, 2023 წელს მუზეუმის თანამშრომლებმა, ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო ფორუმთა გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვა არაერთ საერთაშორისო თავყრილობასა თუ სხვა აქტივობებში, კერძოდ:

  1. აღმოსავლურ კოლექციათა კურატორმა ირინა კოშორიძემ 2023 წლის მაისში ბაქოს ხალიჩების ეროვნულ მუზეუმში გამართული საერთაშორისო კონფერენციის (Intercultural Dialogue and Ethinc Identity International scientific conference) მონაწილეთა წინაშე წაიკითხა მოხსენება – *ბორჩალოსა და ყარაჩოპის ხალიჩები* საქართველოს ხელოვნების მუზეუმში;
  2. 2023 წლის ივლისში ქ. ლიონში (საფრანგეთი), ისლამური კვლევების მიმართულებით ერთ-ერთ მასშტაბურ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე ირინა კოშორიძემ და ნათია დემურიშვილმა წაიკითხეს მოხსენება -*საქართველოს სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეკონკისტას შემდეგ ქალაქ დმანისის მაგალითზე* (თანამომხსენებლები: ჯიმშერ ჩხვიმიანი, მაია პატარიძე);
  3. 2023 წლის ნოემბერში ნიუ-იორკის (აშშ) უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო კვლევით ცენტრ *სინსილა*-ში კურატორმა ირინა კოშორიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების შექმნის ისტორიაზე, კოლექციის მნიშვნელობასა და საქართველოში დაცულ მსოფლიოში სახელგანთქმულ ისლამურ არტეფაქტებზე;
  4. 2023 წლის მაისში ელენე ჩხვირკიამ ვენეციის (იტალია) ბიენალეს ქართულ პავილიონში მოსულ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ამ ფორუმის ფუნქციასა და, ზოგადად, ქართულ კულტურაზე;
  5. აღმოსავლური კოლექციების თანამშრომლებმა სხვა მკვლევრებთან თანაავტორობით 2023 წელს გამოაქვეყნეს სტატიები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში: *სფერო-კონუსური ჭურჭელი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებიდან* (ნათია დემურიშვილი, ვაჟა მამიაშვილი) და *ერთი ირანული ფერწერის ატრიბუციისთვის-ქალბატონი მოახლით -ინტერდისციპლინური კვლევა* (ირინა კოშორიძე, სესილი სორდია, გვანცა ფოცხიშვილი, თამარ ბაკურაძე, გრიგოლ ბერაძე).
  6. 2023 წელს აღმოსავლური ფონდების თანამშრომლებმა (ირინა კოშორიძე, მარინე დგებუაძე, ნათია დემურიშვილი) მუზეუმის სხვა თანამშრომელთა თანამონაწილეობით ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით გამოსაცემად მოამზადეს სამენოვანი (ქართული, ინგლისური და სპარსული) ილუსტრირებული წიგნი-ალბომი – *საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისლამური კოლექციები*[3].
  7. 2023 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გამარჯვებული პროექტის (*ქართული სპორტის ისტორიის სათავეებთან. საზოგადოება შევარდენი. 1918-1921 წწ.)* ერთ-ერთი ძირითადი შემსრულებელია ნათია დემურიშვილი.

- 2024 წელს დაგეგმილია გაგრძელდეს არაერთი აქტივობა: 1. მოსწავლე-ახალგაზრდების სეგმენტისათვის საჯარო ლექციების ჩატარება ისლამური კოლექციებისა და დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის შესახებ ცნობადობის გასაზრდელად; 2. შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული ორი მონოგრაფიის მომზადება; თანამშრომლების მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში, ასევე საერთაშორისო ექსპედიციებისა თუ საზაფხულო სკოლების მუშაობაში; დასრულდება აღმოსავლური კოლექციებისა და პერსონალური ბიბლიოთეკის მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა.

3 გამოსაცემად მომზადებული ამ წიგნი-ალბომის დაფინანსება ჯერ ვერ იქნა მოძიებული.

ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელ

ლელა წიწუაშვილის ანგარიში

- ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში 2023 წლის აგვისტოდან ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებითა და თანამედროვე კვლევითი აპარატურით აღჭურვილი ამიერკავკასიაში პირველი ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, მხარდაჭერითა და ირაკლი ფარჯიანის ფონდთან თანამშრომლობით.
- ლაბორატორიის სრულფასოვანი მუშაობის უზრუნველსაყოფად პერსონალს – ხელოვნებათმცოდნეებს, ქიმიკოს-რესტავრატორებსა და ფიზიკოს-რადიოლოგებს ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარა მადრიდის ხელოვნების ნიმუშების ქიმიური ლაბორატორიის ესპანელმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, დოქტორმა ენრიკე პარამ. იგი აგრძელებს ლაბორატორიასთან აქტიურსა და მრავალმხრივ პარტნიორობას.
- ახალშექმნილი ლაბორატორიის უპირველესი და ძირითადი მიზანია, სრულად გამოიკვლიოს მუზეუმის კოლექციები, შექმნას ტექნოლოგიურ მონაცემთა ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებისა და თანამედროვე ქართული მხატვრობის აქამდე არარსებული კვლევით-მონოგრაფიული ტექნოლოგიური მონაცემების სრული ბაზის შექმნას. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ლაბორატორიაში ჩატარებული პირველი საექსპერტო კვლევა, რომლის შედეგად დადასტურდა საექსპერტოდ გადმოცემული ერთი ნამუშევრის ავთენტურობა და ნიკო ფიროსმანაშვილის ავტორობა.
- დაარსების დღიდან ლაბორატორია აწარმოებს ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს, კერძოდ, გადმოცემულ ნამუშევრებს უტარდება სახელოვნებათმცოდნეო და ტექნოლოგიური კვლევა უახლესი თაობის აპარატურით: რამანის ოპტიკური მიკროსკოპით, ფურიეს ინფრაწითელი სპექტროსკოპით, ელექტრონული მიკროსკოპით, სტერეომიკროსკოპით, უმაღლესი რეზოლუციის ფოტოკამერით (ხილვადი რეჟიმით, ფრაგმენტთა მაკროფოტოგადაღებით, ულტრაიისფერ-ინფრაწითელი დასხივებითა და რენტგენოგრაფიის საშუალებით). ამგვარი კომპლექსური ინსტრუმენტალიების გამოყენებით უკვე შესწავლილია მუზეუმის კოლექციების ექსპონატები (30 ფერწერული ტილო და სხვადასხვა ტიპის 19 არქეოლოგიური ნივთი), ასევე კერძო კოლექციებიდან შემოსული 8 ნამუშევარი. ამასთან, გაიცემა მათს შესახებ სათანადო საექსპერტო დასკვნა.
- ლაბორატორიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ასევე მუზეუმში მიმდინარე სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესისათვის საექსპერტო დახმარება.

სარესტავრაციო -კვლევითი ლაბორატორია

სარესტავრაციო-კვლევითი ლაბორატორიის ქსოვილებისა და ნაქარგობის, ასევე დაზგური ფერწერის, ტემპერის, გრაფიკის, მინიატიურათა ასლებისა და ფერწერული ხატების ნებისმიერი რესტავრატორ-კონსერვატორის მიზანია ლაბორატორიისთვის გადმოცემული ხელოვნების მრავალდარგოვან არტეფაქტთა დაცულობის ხარისხის შეფასება, ფოტოფიქსირება, დაცულობის აქტის შედგენა, სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესების სამეცნიერო კვლევა (ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების გამოყენება) ან ხელოვნების მუზეუმში ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშთა კვლევისა და ექსპერტიზის ახალგახსნილსა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ ლაბორატორიასთან კოორდინირებით ექსპონატის მდგომარეობის სიღრმისეული ექსპერტიზება, მისი შედეგების გათვალისწინებითა და დაზიანების სპეციფიკიდან გამომდინარე კი, ჩასატარებელი სამუშაოსათვის აუცილებელი მეთოდების განსაზღვრისა და შემუშავების შემდეგ ექსპონატის ავთენტური სახის აღსადგენად სხვადასხვა აპრობირებული მეთოდით რესტავრაცია-კონსერვაციის ხანგრძლივი და ეტაპობრივი საქმიანობის წარმართვა. რესტავრატორ-კონსერვატორის რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოს ხანგრძლი-

ვობა და მოცულობა დამოკიდებულია ექსპონატის ზომაზე, დაზიანების ხარისხსა და მუშაობის პროცესში შესაძლებელსა და გაუთვალისწინებელ სირთულეებზე. გარდა ამისა, რესტავრატორი ახდენს მიმდინარე ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენებისთვის საექსპოზიციოდ შერჩეული ექსპონატების სამუზეუმო წესდების მიხედვით სათანადოდ მომზადებას. მუზეუმის რეკონსტრუქციის გამო მიმდინარე საევაკუაციო-სარემონტო სამუშაოები მოითხოვს ძველი საცავიდან ახალ საცავში ექსპონატთა ევაკუაციას და მასში მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან ერთად რესტავრატორ-კონსერვატორის მონაწილეობასაც. მისი პროფესიული მოვალეობაა მთელი საევაკუაციო პროცესის არა მხოლოდ მეთვალყურეობა, არამედ მასში უშუალო ჩართულობა: ექსპონატების დაცულობის აქტის შედგენა, მათი აღწერა, შეფუთვა, ყუთებში ჩალაგება, განფუთვა, სათანადო დოკუმენტაციის შედგენა და ახალ საცავში უსაფრთხოდ და კლიმატური მოთხოვნების დაცვით განთავსება.

სარესტავრაციო-კვლევითი ლაბორატორიის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის რესტავრატორ-კონსერვატორთა პერსონალური ანგარიშები [4]

ნანა ჯავშანაშვილის ანგარიში

- ჯვრული დაფარნის (ილ. 11-12. სხმ/ნ 3817) ძლიერი დაზიანების გამო 2019-2020 წწ-ში დაწყებული მისი რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესი დასრულდა 2022 წელს. ჩატარდა რამდენიმე საეტაპო სამუშაო: უპირველესად, შეიქმნა N სხმ/ნ 2960 დაფარნასთან ფერითა და ფორმით მისადაგებული მიწარი; ჯვრული დაფარნის კალთებიდან მოიხსნა ნაქარგი დეტალები და ჩამაგრდა ახალშექმნილი მიწარის ზედაპირზე; სათანადოდ შერჩეული ძაფით დამუშავდა ნაპირები; დაემატა ახალი სარჩული. ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად აღდგა ამ ექსპონატის თავდაპირველი ფორმა.
- სარესტავრაციოდ გადმოცემული ანთარის (სხმ/ნ 3649) ოქრომკედით ნაქარგი დეტალები და თავად აბრეშუმის ქსოვილიც დაზიანებათა სიმძიმისა და სხვადასხვაობის გამო საჭიროებდა დეტალურსა და ეტაპობრივ (მშრალი წესით გაწმენდა, სარჩულის გახსნა, სახელოებისა და საყელოს გამაგრება, აბრეშუმის ძაფით ოქრომკედით ნაქარგი ადგილების კონსერვაცია და ა. შ.) რესტავრაციას. ფაქტობრივად, დასრულებულია ამ ექსპონატის რესტავრაცია-კონსერვაცია.
- შინდისფერი ხავერდის ქსოვილის წყვილი ყურთმაჯი (ძ/ფ 2193) ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმიდან, შემკული ოქრომკედით ნაქარგი მცენარეული ორნამენტით, ძლიერ იყო დეფორმირებულ-დაზიანებული: ხავერდის ქსოვილზე არსებული დაზიანებები (ნაკეცები, ნახეთქები და სხვ.) არ ექვემდებარებოდა რესტავრაციას. ექსპონატის სხვა დაზიანებათა ხარისხის გათვალისწინებით, მისი რესტავრაცია ეტაპობრივად განხორციელდა: ძირითადი ქსოვილიდან განცალკევდა ოქრომკედის დეტალები, შესრულდა მისი მშრალი წმენდა, სარესტავრაციო ძაფებით რესტავრირდა ყურთმაჯების ნაქარგი დაზიანებული დეტალები, შეიღება შესაფერისი ფერის, ზომისა და ფორმის ხავერდის ახალი მიწარი და აბრეშუმის სარჩული.
- 2024 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ექსპონატების რესტავრაცია: 1. ანთარი (სხმ/ნ 3649); 2. ქართული კაბის სარტყელი (ფონდი N – 7-1924/1)

4 მუზეუმის რესტავრატორ-კონსერვატორთა სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გადაწყდა მათი ანგარიშები წარმოდგენილ იქნას ზოგიერთი ექსპონატის რესტავრაციამდელი და რესტავრაციის შემდგომი მდგომარეობის ამსახავი ფოტომასალის თანხლებით.

ნია წიწილაშვილის ანგარიში

- სარესტავრაციოდ გადმოცემული ანთარის/სამოსის (სხმ/ნ 1323) დაცულობის, ზოგადად, დამაკმაყოფილებლად შეფასების მიუხედავად, მის ცალკეულ დეტალებზე აღინიშნა არაერთი სხვადასხვა ხარისხისა და ტიპის დაზიანება. ეს განპირობებული იყო ანთარის ხშირი გამოყენებით. დაზიანებათა კომბინირებული ხასიათი მოითხოვდა, თითოეული დაზიანების სპეციფიკის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ მიდგომას, რაც ეტაპობრივად განხორციელდა (გაწმენდა, დეფორმირებული დეტალების გასწორება, ნახევი ადგილების გამთლიანება, ნატურალური ქსოვილის ახალი სარჩულის შექმნა და ა. შ.).
- ანთარის/სამოსის (სხმ/ნ 6939) დაცულობა დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა, შეინიშნებოდა ნარღვევი, ნახეთქი, ნაცრეცი, დალაქავებული და სხვა სახის მცირე დაზიანებები. მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩატარდა შესატყვისი (წმენდა, ნარღვევი უბნების გამთლიანება ძაფით, ნახეთქ-ნაცრეცის შევსება მისადაგებული ფერის ნატურალური ქსოვილით...) სარესტავრაციო სამუშაოები.
- ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმიდან გადმოცემული ორი ერთეული უნომრო შალის ჩითა ძალიან დაბინძურებული, ჩრჩილისგან შეჭმული, ნარღვევი ადგილებითა და ამოცვენილი თვლებით საჭიროებდა ღრმა რესტავრაციას. ექსპონატებში აღმოჩენილი ჩრჩილის პეპლებისა და ჭუპრების გამო იგი რესტავრაციამდე სხვადასხვა ხერხით სათანადოდ გაირეცხა და გაიწმინდა. შემდგომ კი, ცალკეული ამორღვეულ-ამოცვენილი ადგილების კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით, შეივსო ისინი შალისა და ბამბის ძაფის გამოყენებით.
- ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის კუთვნილი ქართული კაბის დეტალი – ზედატანი (ილ. 13-14. ძ/ფ 2193), განსაკუთრებით მისი აბრეშუმის ქსოვილი, იმდენად იყო გამყიფებული, ძაფებად და ნაფლეთებად დაშლილი, რომ მისი რესტავრაცია შეუძლებლად ჩაითვალა. სტაბილური სახით შემორჩენილი ოქრომკედით ნაქარგი ხავერდის საოლველი ზედა ტანიდან განცალკევდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო ვინმე პარასკევა ანჯაფარიძის ქართული კაბის კომპლექტის (XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისი) დეტალი, ფოტოსურათისა და მხატვარ-კონსტრუქტორის დახმარებით გადაწყდა მისი რეკონსტრუირება (თარგის აღდგენა, ქსოვილის ფაქტურისა და ფერის მისადაგება, ოქრომკედნაქარგი ძველი საოლველის მიკერება....), რამაც კაბას მიახლოებით დაუბრუნა პირვანდელი იერსახე.
- ანთარის/ სამოსის (სხმ/ნ 1204) მდგომარეობის ღრმად შესწავლამ გამოავლინა ქსოვილის სიმყიფე, ძაფებად დაშლილი ადგილები, ნარღვევები და სხვა სერიოზული დაზიანებები. ყოველივე ამის შეფასების შემდგომ, გადაწყდა დაზიანების მოსალოდნელი გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, პრევენციის მიზნით, გაცრეცილ-ნახევ უბნებში შესაფერისი ქსოვილის დაფენა-გამაგრება. ექსპონატის რესტავრაცია გრძელდება და დასრულდება 2024 წელს.

ნინო სოხაშვილის ანგარიში

- ოქრომკედით ნაქარგი ომოფორი (სხმ/ნ 1446. ა,ბ), თავდაპირველად, გაიწმინდა სველი წესით; კონსერვირდა მასზე ამოქარგული სახარებისეული სცენების დაკარგული ფრაგმენტები; ნაქარგობის მიწართან დამაკავშირებელი ძაფების დაწყვეტის გამო ექსპონატის მთლიანობის აღსადგენად რესტავრირებული ნაქარგი ფიგურები თავიდან დამაგრდა ასევე რესტავრირებულ მიწარზე.
- ახალუხი (სხმ/ნ 2436) ძლიერი დაბინძურების გამო რამდენჯერმე გაიწმინდა მშრალი და სველი წესით; რესტავრირდა ექსპონატის ატლასის ქსოვილის დაზიანებული ადგილები; აღდგა სარჩულის დაკარგული მონაკვეთები და ა. შ.
- ახალუხის (სხმ/ნ 3644) სველი წესით გაწმენდის შემდეგ რესტავრირდა მის ზედაპირზე არსებული დაზიანებები.

- შესამოსლის (სხმ/ნ 1322) ორჯერადი – მშრალი და სველი წესით გაწმენდის შემდეგ რესტავრირდა სახელოს დაზიანებული მონაკვეთები.
- სასულიერო პირის სარტყელი (სხმ/ნ 3714) გაიწმინდა მშრალი წესით; რესტავრირდა ძაფებად დაშლილი მისი ნაპირები.
- სასულიერო პირის სარტყლის (სხმ/ნ 3721) მშრალი და სველი წესით გაწმენდის შემდეგ უკუღმა მიკერებული ბალთის ერთი ნახევარი სწორად მიეკერა; რესტავრირდა სარტყლის ძაფებად დაშლილი ნაპირები.
- სასულიერო პირის სარტყლის (სხმ/ნ 3724) ხავერდის ქსოვილის მშრალი წესით გაწმენდის შემდეგ ექსპონატის დაბინძურებულ-დახეული ორფენიანი სარჩული შეიცვალა ფერითა და ფაქტურით შესაფერისი ახალი სარჩულით; რესტავრირდა სარტყლის ძაფებად დაშლილი ნაპირები და მიწარის დაზიანებული ადგილები; ვერცხლის ბალთა გაწმენდის შემდეგ სარჩულის საშუალებით დამაგრდა ექსპონატზე.
- ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ზედატანი (ილ. 15-16. ძ/ფ 2193) გაიწმინდა მშრალი და სველი წესით; რესტავრირდა საყელოს ირგვლივ დაზიანებული და გადახეხილი ხავერდის ქსოვილი; გამაგრდა ოქრომკედის ნაქარგობა; დაშლის შეუქცევადი პროცესისგან ნაქარგობის გადასარჩენად განხორციელდა მისი გადატანა და დამაგრება ფერითა და ფაქტურით ექსპონატის იდენტურ ახალ ქსოვილზე, რითაც აღდგა მისი მთლიანობა. გულისპირის თარგის მიხედვით გამოიჭრა და შეიკერა აბრეშუმის ქსოვილის სარჩული, რომელიც დამაგრდა რესტავრირებულ გულისპირზე. გულისპირის თანმხლებ ფოტოზე გამოსახული მთლიანი სამოსის (ზედა და ქვედატანი, ყურთმაჯები, სარტყელი) მიხედვით, მისი სრულყოფილი სახის აღსადგენად შეიკერა იდენტური ფაქტურისა და ფერის ჩოკერი/ყელსაბამი და მასზე ოქრომკედის ძაფით ამოიქარგა სარტყელზე არსებული ორნამენტი.
- 2024 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სარესტავრაციო ექსპონატები: 1. ჩოხა (7-1956/1); 2. შარვალი (11-1935/15); 3. სასულიერო პირის სარტყელი (სხმ/ნ 2406); 4. სარტყელი (სხმ/ნ 3513); 5. საბუხარი (სხმ/ნ 136. ა,ბ).

ეკა კალანდიას ანგარიში

- ანთარი (სხმ/ნ 1155) გაიწმინდა სველი წესით; რესტავრირდა ატლასის ქსოვილის ზედაპირისა და ნაპირების დაზიანებული მონაკვეთები; ანთარის ზურგის არეში დაკარგული ქსოვილის ფრაგმენტები შეივსო იდენტური ქსოვილით; გამაგრდა დაზიანებული ნაქარგობა; მაქმანები მოხსნისა და აღდგენის შემდეგ ისევ დამაგრდა სახელოზე; შეიკერა და დამაგრდა ფაქტურითა და ფერით ძველთან მისადაგებული ახალი სარჩული.
- ქართული კაბის ზედატანის (ილ. 17-18. სხმ/ნ 4920) სველი წესით გაწმენდის შემდეგ მოიხსნა მის გულისპირზე არსებული დაბინძურებული მაქმანი, გაირეცხა და მისთვის განკუთვნილ ადგილზევე დამაგრდა; რესტავრირდა ექსპონატის დაზიანებული ქსოვილი; კორსეტის გვერდითი ნაწილების რესტავრირების შეუძლებლობის გამო მათ ჩაენაცვლა იდენტური ფერის ახალშეღებილი აბრეშუმის ქსოვილი.
- ქართული კაბის ზედატანი (სხმ/ნ 3650) გაიწმინდა მშრალი წესით; მოიხსნა დალაქავებულ-დაზიანებული სარჩული, რომელიც შეიცვალა ფერითა და ფაქტურით ძველთან მისადაგებული აბრეშუმის ახალი სარჩულით.
- ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ქართული კაბის ქვედატანის (ძ/ფ 2193) ფრაგმენტულად შემორჩენილი გამომშრალ-დაქუცმაცებული აბრეშუმის ქსოვილის მიწარი არ იძლეოდა მისი რესტავრირება-კონსერვირების შესაძლებლობას. ამ რეალობისა და მისი ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, მოხდა ექსპონატის თანმხლები ფოტოსურათის, შემორჩენილი ფრაგმენტებისა და ისტორიული წყაროს გამოყენებით ავთენტური თარგის აღდგენის შემდეგ თავდაპირველ ქსოვილთან მიახლოებული ფერისა და ფაქტურის ნატურალური ქსოვილით ექსპონატისა და მისი სარჩულის რეკონსტრუირება.

- ლეჩაქის (სხმ/ნ 2057) ცენტრალურ ნაწილში დაკარგული იყო მცირე და დიდი უბნები. ამის გამო ძლიერ დაზიანებული ლეჩაქი გადატანილ იქნა ახალ ქსოვილზე და მასზე უფაქიზესი ძაფით დამაგრდა. ექსპონატის რესტავრაცია გარდამავალია და მისი დასრულება დაგეგმილია 2024 წელს.
- 2024 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია ლეჩაქის (სხმ/ნ 2056) რესტავრირება.

მანანა პაპიძის ანგარიში

- ჩათხის/თავსაბურავის (სხმ/ნ 1941), წარსულში ჩატარებული რესტავრაციის მიუხედავად, ამჟამინდელმა მდგომარეობამ მოითხოვა ხელახალი რესტავრაცია: ექსპონატის მთელ პერიმეტრზე გაზის ძაფით გამაგრდა დახეული მიწარისა და მასზე მრავლად ამოქარგული არღვეული ორნამენტები, ასევე გაწყალებული კუთხეები.
- სასულიერო პირის სარტყლის (სხმ/ნ 3503) დაზიანებათა ხარისხის გათვალისწინებით, იგი გაიწმინდა მშრალი წესით; აღდგა გაცვეთილი მიწარი; დამაგრდა კლაპიტონები; შეიცვალა შესაბამისი ფაქტურისა და ფერის სარჩული.
- წყვილ საბუხარზე (სხმ/ნ 100. ა,ბ) აღინიშნა სხვადასხვა სახის დაზიანება. ექსპონატი, უპირველესად, გაიწმინდა კომბინირებული წესით; აღდგა მიწარის (ხავერდის ქსოვილი) დაზიანებული ადგილები; კიდეები და მოჩარჩოება დამაგრდა; ლითონის რგოლები ორივე საბუხარზე თანმიმდევრულად გადანაწილდა; აღდგა ზონრები; დახეული სარჩული შეიცვალა შესაბამისი ფერისა და ფაქტურის სარჩულით.
- სასულიერო პირის სარტყლის (სხმ/ნ 3509) ოქრომკედით ნაქარგი მიწარი დაზიანებული იყო ნარმის საფენ ქსოვილზე წებოს ჭარბად გამოყენების გამო, რაც გახდა სხვა დაზიანებათა მიზეზიც. ამის გათვალისწინებით, იგი გაიწმინდა კომბინირებული წესით; დამაგრდა მიწარი და მასზე ოქრომკედის არღვეული ძაფები; მოშორდა წებოთი გამაგრებული ნარმა და ექსპონატი გადატანილ იქნა ნარმის ახალ საფენ ქსოვილზე; დახეული სარჩული შეიცვალა შესაბამისი ფერისა და ფაქტურის სარჩულით.
- ელეგის (სხმ/ნ 920) მშრალი წესით გაწმენდის შემდეგ მისი ჩაშლილი ყაითანი და არღვეული მარგალიტები მიწარზე თანმიმდევრულად დამაგრდა.
- ქართული კაბის ზედატანის (სხმ/ნ 1307) აბრეშუმის ძაფით ნაქარგი დაზიანებული და დალაქავებული მიწარი გაიწმინდა კომბინირებული მეთოდით, თუმცა, ზოგიერთი ლაქის ამოღება დაუდგენელი წარმომავლობის გამო ვერ მოხერხდა; ექსპონატის მთელ პერიმეტრზე დამაგრდა დაზიანებული ადგილები.
- ქართული კაბის ზედატანი (სხმ/ნ 4434) რესტავრაციისას გაიწმინდა კომბინირებული წესით; დამაგრდა ოქრომკედით შესრულებული არღვეული ნაქარგობა და სტილიზებული ნაქარგი ოლე; აღდგა სარჩულის დაზიანებული დეტალები.
- ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ქართული კაბის დეტალის-სარტყლის (ილ. 19-20. ძ/ფ 2193) ხავერდის ქსოვილის სტრუქტურის ძლიერი დაზიანების მიზეზი იყო ჭარბი რაოდენობის წებოს გამოყენება, რომლითაც ძირითადი მიწარი სიმყარისათვის ნარმის საფენზე იყო დაწებებული. ექსპონატი გაიწმინდა კომბინირებული მეთოდით; სარტყლის ზედა ნაწილის ძლიერი დაზიანების გამო შეუძლებელი გახდა მისი რესტავრაცია. ამიტომ ნაქარგობა გადატანილ იქნა შესაბამის ახალ ქსოვილზე. სარტყლის ქვედა – მოცულობით ნაწილზე ნაქარგობის მჭიდროდ განთავსებისა და დაზიანების მოსალოდნელი ახალი კერების გაჩენის გამო მსგავსი მეთოდი არ იქნა გამოყენებული. ამიტომ გადაწყდა ექსპონატის ამ ნაწილის კონსერვაცია. ამ მიზნით დაზიანებულ მონაკვეთზე დამაგრდა შესაბამისი ფერის გაზის ქსოვილი, თუმცა, ხავერდის დაშლის პროცესი კვლავ გრძელდება. სარტყლის დაზიანებულ კიდეებზე კი დამაგრდა შესაბამისი ფერის ქსოვილის ვიწრო ზოლი. ძველი სარჩულის აღდგენის შეუძლებლობის გამო სარტყლისთვის შეირჩა შესატყვისი ფერისა და ფაქტურის ახალი სარჩული.

- სასულიერო პირის სარტყლის (სხმ/ნ 317) ხავერდის მიწარისა და მასზე დაკერებული ორნამენტების ძლიერი დაზიანების გამო გრძელდება მისი რესტავრაცია.
- ხატის ფარდა (სხმ/ნ 1941) გამოვლენილ დაზიანებათა რესტავრირებამდე გაიწმინდა კომბინირებული წესით; მის ირგვლივ, შიდა მხარეს, დამაგრდა აბრეშუმის ზონარი, რათა თავიდან აგვეცილებინა ექსპონატის მოსალოდნელი დეფორმაცია; აღდგა არღვეული ნაქარგობა, ზონრები და მიწარის დაზიანებული ადგილები. ლაქების მოშორება ვერ მოხერხდა მისი გაურკვეველი წარმომავლობის გამო. ექსპონატი დამაგრდა შესაბამისი ფერისა და ფაქტურის ახალ სარჩულზე.

მეგი ხუბულურის ანგარიში

- დაფარნის (სხმ/ნ 2737) მიწარი გაიწმინდა სველი წესით; მისი ზედაპირი შეივსო კილიტებით; გამაგრდა ოქრომკედის ნაქარგობა; დაზიანებული სარჩული რესტავრირდა ატლასისა და შტაპელის ახალი ავთენტური ქსოვილით.
- სასულიერო პირის სარტყლის (ილ. 21-22. სხმ/ნ 3711) სველი წესით გაწმენდის შემდეგ ის განცალკევდა ვერცხლის ბალთებისგან და დამაგრდა აბრეშუმის ახალ ქსოვილზე; შეივსო ექსპონატის ორივე მხარეს ნაქარგი ორნამენტების დაზიანებული ადგილები. გრძელდება ექსპონატის რესტავრირება და დასრულდება 2024 წელს.

ნინო ჩოლოყაშვილის ანგარიში

- გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ბალიში (ილ. 23-24. 3031-3032) უკიდურესად იყო დაბინძურებული და დაზიანებული. რესტავრაციის მსვლელობისას ექსპონატის უკანა მხარეს მიკერებული შელახული ბამბის ქსოვილი შეიცვალა ახალი მსგავსი ქსოვილით; მრავალ ადგილას გაცრეცილი ნაქსოვი ადგილი, მისი სიმჭიდროვის გათვალისწინებით, ძველთან მისადაგებული შალის ძაფით გამყარდა და განახლდა მისი ერთიანობა; ბალიშის იმ არეებში, სადაც ქსელი და მისაქსელი, ფაქტობრივად, არ არსებობდა, რესტავრაციის შედეგად აღდგა ექსპონატის თავდაპირველი სტრუქტურა, ფაქტურა და მიესადაგა პალიტრაც.
- ყაჯარის/ასალის (ილ. 25-26. სხმ/ნ 4366) ხალიჩურად ნაქსოვი მიწარის ქსელისა და მისაქსელის დაშლის გამო გაშიშვლებული იყო მისი დიდი მონაკვეთები, ხაო კი – გამქრალი, რის გამოც მასზე გამოსახულებები ძნელად იკითხებოდა. რესტავრაციის მსვლელობისას, ქსელის სიმჭიდროვის გათვალისწინებით, შეირჩა ბამბის ძაფი; დაზიანებულ ფრაგმენტებზე მიმდინარეობს ქსელის აღდგენა; მისაქსელის აღსადგენად იქმნება ბადე, რომელშიც ქსოვის არსებული მეთოდის მიხედვით გამოიყოფა შრეები, რომლებიც შეივსება ხალიჩური კვანძებით. ისინი გაიმეორებს გამოსახულების გრაფიკულ ხაზს და ფერის მიხედვით მისადაგებული იქნება ყაჯარის/ასალის პალიტრას. ექსპონატის სირთულის გამო მისი რესტავრირება გაგრძელდება 2024 წელს.

ეკა ტყეშელაშვილის ანგარიში

- ეპიტრაქილის (ილ. 27-28. სხმნ/4390) აბრეშუმის ქსოვილის მიწარის ფაქტობრივი არარსებობის გამო საგანგებოდ მომზადებული ტრაფარეტი დაეფინა სადუბლიკაციო ქსოვილს, რომელზედაც ეპიტრაქილის ორნამენტებისა და წარწერის ამოხაზვა-ამოჭრის შემდეგ ისინი განთავსდა მათს კონტურებთან; სადუბლიკაციო ქსოვილი თანაბარი ბიჯებით დამაგრდა ორგანზას ძაფით, რომლის უწმინდესი სტრუქტურა ყველაზე კარგად მიესადაგა სადუბლიკაციო ქსოვილის ფაქტურას.

- სიმონ ჯანაშიას მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ქისის (ილ. 29-30. 63-1926/58) მიწარის ძლიერმა დაზიანებამ მოითხოვა ქისის ფორმისა და მასზე არსებული ორნამენტის შაბლონის დამზადება, მისი გადატანა მაუდის სადუბლიკაციო ქსოვილზე, რის შემდეგ ბამბის ძაფით მოხდა დაზიანებული ადგილების რესტავრაცია-კონსერვაცია; ქისის შიდა მხარე შეივსო სარჩულით.
- ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემული ჩიხტიკოპის (ილ. 31-32. ძ/ფ 2193) დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მისი კუთვნილი თავსაკრავი დაეფინა და დამაგრდა იდენტური ფერის ხავერდის ახალ ქსოვილზე; დაცულობის მიზნით, ექსპონატს სარჩულად გამოეკერა შესაფერისი ფერის თხელი აბრეშუმის ქსოვილი; ჩიხტის რესტავრირება ჩაითვალა შეუძლებლად, ამიტომ ახალდამზადებულ მუყაოს კონსტრუქციას გადაეკრა აბრეშუმის ქსოვილი; ექსპონატის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად და მის გასამთლიანებლად ჩიხტსა და თავსაკრავს დაეკერა ლითონის მცირე ზომის ღილაკები; კოპის არარსებობის გამო შტაპელის ქსოვილისა და სინდიპონისგან შეიკერა ექსპონატის შესატყვისი ახალი კოპი, რომელიც განთავსდა თავსაკრავსა და ჩიხტის კონსტრუქციის ზედა ნაწილს შორის. ექსპონატისათვის დასრულებული სახის მისაცემად ტულის ქსოვილისა და მანებიანი მაქმანისაგან შეიკერა ახალი მანდილი.
- სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმიდან სარესტავრაციოდ გადმოცემულ ახალუხს მოეხსნა წინა რესტავრაციისას არასწორად მიკერებული შეუსატყვისი ქსოვილი, რომელიც შეიცვალა შესაფერისით. ორგანზას ძაფით აღდგა დაშლილი ქსოვილი, თუმცა, ექსპონატის დაზიანების სიმძიმის გამო გრძელდება მისი რესტავრაცია.

სარესტავრაციო-კვლევითი ლაბორატორიის

დაზგური ფერწერის, გრაფიკის, მინიატიურათა ასლებისა და ფერწერული ხატების, ტემპერის რესტავრატორ-კონსერვატორთა პერსონალური ანგარიშები

დაზგური ფერწერა

ნანა მანაგაძის ანგარიში

- 2023 წელს მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფერწერის ფონდებიდან ლაბორატორიისთვის გადმოცემულ, ასევე გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხელოვნების მუზეუმის კუთვნილ ექსპონატთაგან საგამოფენოდ შერჩეულ ფერწერულ, მათ შორის, XVII-XIX სს-ის ტილოებს (გ. გაბაშვილი. *პეიზაჟი მდინარით*; ვლ. სტახოვსკი. *ზღვის პეიზაჟი*; ჰედრიხ. *ვარდების თაიგული*; ნიკოლა ლანკეს წრე. *საზოგადოება ბაღში;* უცნობი ავტორი. *პეიზაჟი*; უცნობი ავტორი. *თხა პეიზაჟის ფონზე;* უცნობი ავტორი. *წმინდა ანა და მარიამი;* გ. გაბაშვილი. *განთიადზე ღამის თევა სასაფლაოს ეკლესიასთან*; გ. გაბაშვილი. *მოგვთა თაყვანისცემა),* დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.
- 2023 წელს განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, ფესტივალი *ევროპალია საქართველო.* ბრიუსელში (ბელგია), ბოზარის ცენტრში, დაგეგმილ გამოფენაში – *ავანგარდი საქართველოში (1900-1936)* ხელოვნების მუზეუმის ექსპონატთა მონაწილეობის მისაღებად წინასწარ განხორციელდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ, ფიროსმანის დიდი ზომის სურათის – *ქეიფი რთველის დროს* – ექვსთვიანი (მაია სეთურიძესთან ერთად) კომპლექსური და რთული სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესი (ილ. 33-35).
- 2024 წელს კრაკოვის (პოლონეთი) ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილი გამოფენისთვის – *ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება* საექსპოზიციოდ შერჩეულ ხელოვნების მუზეუმის კუთვნილ 3 სურათს (ფიროსმანი. *თეთრი დათვი ბელებით*; მ. თოიძე. *მაიდანი*; რ. ზომერი. *შაჰ ისმაილის მეჩეთი თბილისში)* ჩაუტარდა შესაბამისი მსუბუქი რესტავრაცია.

ეველინა კარსელის ანგარიში

- 2023 წელს მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების ფონდებიდან (გ. გაბაშვილი. *ვირი ტყეში;* გ. გაბაშვილი. *ნატურმორტი*; ო. სულავა. *პეიზაჟი*; ჰანს თომა. *პეიზაჟი წისქვილით;* ბრილის სკოლა. *პეიზაჟი ფიგურებით*), (ილ. 36-37), სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან (თ. მირზაშვილი. *საქართველოს სამხედრო გზა;* კ. ობოლაშვილი. *ომალო დილით;* ს. მაისაშვილი. *სიღნაღი;* ტოროტაძე. *შესვენება* (ეს უკანასკნელი ეკა თევზაძესთან ერთად), ასევე გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან (გ.გაბაშვილი. *ბრძოლა ბებრის ციხესიმაგრესთან* და *მზადება ბრძოლისთვის. ხევსურები*) სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში შემოსული ფერწერული ტილოების დაზიანების ხარისხის დადგენის შემდეგ განხორციელდა მათი რესტავრაცია-კონსერვაცია.
- 2023 წელს დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, სიღნაღისა და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ჩატარებულ ქართველ მხატვართა გამოფენებისთვის საექსპოზიციოდ შერჩეული ფერწერული სურათები სათანადოდ მოწესრიგდა. ამასთანავე, ვმონაწილეობდი ამ ექსპონატთა დაცულობის აქტის შედგენაში, მათს შეფუთვაში, ტრანსპორტირებაში, განფუთვასა და ადგილზე დაბრუნებაში.
- ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისათვის დაიგეგმა საერთაშორისო პროექტი-ფესტივალი *ევროპალია საქართველო,* რომელიც 2023 წლის დასასრულ ჩატარდა ბრიუსელში (ბელგია). სხვა ღონისძიებებთან ერთად პროექტით გათვალისწინებული იყო XX ს-ის დასაწყისის ქართული ავანგარდული ხელოვნების გამოფენაც, რომლისთვისაც მოვახდინე მუზეუმის ფონდებიდან იქ საექსპოზიციოდ შერჩეულ ფერწერულ ტილოთაგან 7-ის (გ.გაბაშვილი. *ქალები ეთაყვანებიან ფალოსს;* გ.გაბაშვილი. *ლოცვა*; ფიროსმანი. *სონა უკრავს გარმონს;* ვ. სიდამონ-ერისთავი. *ძველი თბილისი;* შ. ქიქოძე. *ქორწილი;* ფიროსმანი. *ოთხი მოქალაქის ქეიფი.* დ.კაკაბაძე. *რიონის ჰიდროელექტროსადგური)* სხვადასხვა სირთულის რესტავრაცია-კონსერვაცია.
- 2024 წელს დაგეგმილია საერთაშორისო პროექტის განხორციელება ევროპაში, კერძოდ, კრაკოვში (პოლონეთი). მისი მიზანია მრავალსაუკუნოვანი ქართული ხელოვნების მრავალდარგობრივად წარმოდგენა გამოფენაზე – *ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება.* გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი ექსპონატებიც. ამ გამოფენისათვის წინასწარ დაწყებული მზადებისას ქართველ, ასევე საქართველოში მოღვაწე უცხოელ, უმეტესად, პოლონელ მხატვართა ტილოებს (ზ. ვალიშევსკი. *სავარძელში მჯდომი გოგონას პორტრეტი;* რ. ზომერი. *მეტეხის ხიდი;* ა. ციმაკურიძე. *ორსართულიანი სახლი;* ა. მეძიბლოცკი. *თბილისის ეკლესია*) უტარდება დაცულობის სხვადასხვა ხარისხის შესატყვისი სარესტავრაციო -საკონსერვაციო სამუშაოები.

ეკა თევზაძის ანგარიში

- 2023 წელს განვახორციელე ხელოვნების მუზეუმის საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციებიდან შერჩეული სურათების (უცნობი მხატვარი. *პეიზაჟი;* უცნობი მხატვარი. *მსხვერპლშეწირვა*; მ.კ. ბრიუნიხი. *ქალის პორტრეტი*) (ილ. 38-39), ასევე სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გადმოცემული 25 ექსპონატიდან სამი სურათის (კ. ობოლაშვილი. *თუშეთი. სოფელი ხახაბო;* კ. ობოლაშვილი. თუშეთი; ტოროტაძე. *შესვენება* (ეს უკანასკნელი ეველინა კარსელთან ერთად) რესტავრირება, რომლის დასრულების შემდეგ შევადგინე თითოეული სურათის სათანადო დოკუმენტაცია და მოვახდინე სიღნაღის მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების ტრანსპორტირება.
- 2023 წელს ჩემ მიერ რესტავრირდა სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და თიბისი ბანკის საგამოფენო სივრცეში მიმდინარე

გამოფენებისთვის საექსპოზიციო ექსპონატები, ამასთან, შევადგინე დოკუმენტაცია და ტრანსპორტირების მიზნით, მივიღე მონაწილეობა მათს შეფუთვაში.

- 2023 წელს ხელოვნების მუზეუმის სხვა რესტავრატორებსა და ფონდების/კოლექციების (ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის 3900-მდე ექსპონატი; ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების ექსპონატები) თანამშრომლებთან ერთად მუზეუმის არტეფაქტების ძველი საცავებიდან ახალ საცავებში ევაკუაციისას მოხდა მათი აღწერა, სათანადოდ დოკუმენტირება, შეფუთვა, ყუთებში ჩალაგება, განფუთვა და მონაწილეობა სტელაჟებზე განთავსების პროცესში.
- 2023 წელს დაგეგმილი საერთაშორისო პროექტით (ფესტივალი *ევროპალია -საქართველო*) გათვალისწინებული იყო ბრიუსელში (ბელგია) ქართული ავანგარდული ხელოვნების გამოფენის ჩატარება, რომლისთვისაც შერჩეულ ხელოვნების მუზეუმის კუთვნილ ავანგარდული მხატვრობის ნიმუშთაგან ორს (დ. კაკაბაძე. *იმერეთი – დედაჩემი;* შ. ქიქოძე. *სამი მხატვარი)* ჩაუტარდა რთული სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.
- 2024 წელს ხელოვნების მუზეუმისა და კრაკოვის (პოლონეთი) ეროვნული მუზეუმის ერთობლივი საერთაშორისო პროექტით უნდა ჩატარდეს გამოფენა – *ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება,* სადაც წარმოდგენილი იქნება ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი, უპირატესად, პოლონელი მხატვრების ნამუშევრები. საექსპოზიციოდ შერჩეულ სურათთაგან 19-ს (უცნობი მხატვარი. *ალ. ჩოლოყაშვილის პორტრეტი;* ლ. გუდიაშვილი. *ორთაჭალის სტუმრები;* კ. ზდანევიჩი. *ნატურმორტი ფინჯნებითა და ჩაიდნით*; ე. ახვლედიანი. *მუშათა უბანი პარიზში;* ვ. სიდამონ-ერისთავი. *ალავერდი*; დ. კაკაბაძე. *იმერეთი;* უცნობი მხატვარი. *სალომე ანდრონიკაშვილის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *პრინცი გურიელის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *პრინცი ივანე ჯანდიერის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *გრიგოლ ყარაგოზაშვილის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *სალომე ორბელიანის პორტრეტი;* პ. ფრანკენი. *თბილისი;* ი.ზანკოვსკი. *შხარა*; ი.ზანკოვსკი. *უშბა;* ი.ზანკოვსკი. *იალბუზი; ფიროსმანი. გოგონა წითელი ბუშტით; ფიროსმანი. გლეხის ქალი ბავშვებით წყალზე მიმავალი; ფიროსმანი. ირემი)* შესაბამისად, ჩაუტარდა რთული და მსუბუქი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.
- 2024 წელს პერსონალური გეგმით გაგრძელდება ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია. 2023 წელს გადმოცემულ სურათთაგან ნაწილის რესტავრირება დასრულებულია, ზოგიერთი კი რთული დაზიანების გამო მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას და ამიტომ ისინი ე. წ. გარდამავალი ექსპონატების რიცხვს განეკუთვნება.

ნათია კორკოტაშვილის ანგარიში

- 2023 წლის განმავლობაში განვახორციელე სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში გადმოცემულ XX ს-ის ქართველ მხატვართა ორი (მ. მეტრეველი. *ერეკლე მეფე სიღნაღში;* თარიშვილი. *ფიროსმანის მოტივები)* ფერწერული ტილოს ეტაპობრივი და რთული რესტავრაცია – კონსერვაცია.
- პერსონალური გეგმით კი ჩემ მიერ რესტავრირდა უცნობი მხატვრის პორტრეტული ნამუშევარი *გრიგოლ ბატონიშვილი* (ილ. 40-41), ასევე XVII-XIX სს-ის იტალიური და რუსული სკოლის მხატვართა 8 ტილო (თ. ბოტკინი. *პორტრეტი;* ი. გაუ. *რეველის ნავსადგური;* XVII ს-ის იტალიური სკოლის უცნობი წარმომადგენელი. *პეიზაჟი რომაული არდადეგებით;* XIX ს-ის უცნობი იტალიელი მხატვარი. *ნეაპოლის ყურე* და ა. შ.). მათგან ნაწილის რესტავრირება გრძელდება მათი რთული დაზიანების გამო.
- 2022-2023 წლებში მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან (კურატორები, ტექნიკური ჯგუფი, ზედამხედველები...) ერთად ვმონაწილეობდი მუზეუმის არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების, ძველი ქართული ხელოვნების, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციათა გადატანაში ძველი საცავიდან ახალში მუზეუმის შინაგანაწესით დადგენილი პროცედურის (ფონდის დაცლა, მასალის შეფუთვა, ჩალაგება, განფუთვა და დაბინავება ახალ საცავში) დაცვითა და საჭირო დოკუმენტების შედგენით.

- ფესტივალ – *ევროპალია-საქართველოს* ფარგლებში ბრიუსელში (ბელგია), ბოზარის ცენტრში, გამართულ ავანგარდისტთა გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ონის მხარეთმცოდნეობის, ხელოვნებისა და შოთა რუსთაველის თეატრის მუზეუმების ფონდებიდან, ასევე კერძო კოლექციიდან გადმოცემულ 6 ექსპონატს (ბ. გორდეზიანი. *ცხრაწყარო;* ირ. გამრეკელი. დეკორაციათა 3 მაკეტი შექსპირის პიესებისათვის; ვ. სიდამონ-ერისთავი. მაკეტი ლოპე დე ვეგას პიესისთვის *ცხვრისწყარო)* ჩაუტარდა სხვადასხვა სახისა და ხარისხის რესტავრაცია. ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი *ქეიფი რთველის დროს* კი გადაიჭიმა ახალ დასაშლელ ქვეჩარჩოზე და ჩაისვა ახალ ჩარჩოში.
- განვახორციელე XIV ს-ის იტალიელი მხატვრის, პაოლო ვენეციანოს (მაესტრო პაოლოს) პოლიპტიქისა და ბერნარდო დადის ტრიპტიქის გაზომვა, მის მიხედვით ნახაზის შედგენა, ნახაზის გათვალისწინებით კი ამ ექსპონატების ზომას საგანგებოდ მისადაგებული გადასატანი ყუთის დამზადება, ექსპონატებს გაწმენდა, შეფუთვა, ტრანსპორტირება და ახალ საცავში დაბინავება.

ნინო მერაბიშვილის ანგარიში

- საანგარიშო წელს ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციის ფონდებიდან, ასევე სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიას გადმოეცა XIX-XX სს-ის ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი მხატვრების 13 ფერწერული ტილო (გ. გაბაშვილი. *ნატურმორტი;* ი.ზაზიაშვილი. *ავტოპორტრეტი*; თ. ბაიკოვი. *საძოვრიდან დაბრუნება;* ი. კორეჯიო. *ნატურმორტი;* უ. ობოლაშვილი. სოფ. ომალო; თუშეთი; უშგული, სოფ. ჩაჟაში; ემზენ. *საღამო ნეაპოლიტანის ყურეში)* (ილ. 42-43). მათი დაზიანების ხარისხის შესაბამისად ჩატარდა სხვადასხვა სირთულის ინდივიდუალური სარესტავრაციო-საკონსერვაციო-სამუშაოები.
- 2023 წელს ბრიუსელში (ბელგია) გასამართი XX ს-ის დასაწყისის ქართველი ავანგარდული მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენლების გამოფენისათვის განხორციელდა წინასწარ შერჩეული 5 ფერწერული ტილოს (შ. ქიქოძე. *სამი მხატვარი* და *ავტოპორტრეტი დაღუპული მეგობრის მოსაგონრად;* გ. ერისთავი. *საიდულო სერობა;* დ. კაკაბაძე. *წმ. გიორგის სასწაული;* ქრ. კრონი. *თამარ მეფე)* მსუბუქი და შედარებით რთული რესტავრაცია.
- მიმდინარე წელს დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მოწყობილი პერსონალური (ხ. ქუთათელაძისა და ედ. კალანდაძის) და ერეკლე II -სადმი მიძღვნილი გამოფენებისთვის (*მეფე ერეკლე II-საქართველოს უკანასკნელი ლომი,* რისთვისაც თელავის მუზეუმის ექსპონატები დროებით გადმოეცა ეროვნულ გალერეას*)*, ასევე გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩასატარებელი გამოფენისთვის ხელოვნების მუზეუმიდან დროებით გადასაცემ ექსპონატებს ჩაუტარდათ მსუბუქი რესტავრაცია, მუზეუმის წესდებით განსაზღვრული დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ კი მოხდა მათი შეფუთვა, ტრანსპორტირება და განფუთვა.
- 2024 წელს კრაკოვში (პოლონეთი) განსახორციელებელი გამოფენისთვის (*ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება*) XIX-XX სს-ის 5 ქართველი და საქართველოელი პოლონელი მხატვრების (ქ. მაღალაშვილი. *მხატვარ ელენე ახვლედიანის პორტრეტი;* ვ. სიდამონ-ერისთავი. *ავტოპორტრეტი;* ალ. ციმაკურიძე. *თბილისი – აივნიანი სახლები სურბ-ნიშნის უბანში;* ჰ. ჰრინევსკი. *ბეგთაბეგოვის პორტრეტი;* მ. ვადბოლსკი. *ქალის პორტრეტი)* ნამუშევრებს ჩაუტარდა შესაბამისი რესტავრაცია-კონსერვაცია.

- 2023 წლის განმავლობაში განვახორციელე ხელოვნებისა (უცნობი მხატვარი. *პეიზაჟი;* გ. გაბაშვილი. *პეიზაჟი*) (ილ. 44-45) და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების ექსპონატების (კ. ობოლაშვილი. *ოლა ბებო* და *თუშეთი, თიბვა*) სხვადასხვა სირთულის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები; პირველადი არაინვაზიური სარესტავრაციო-საკონსერვაციო კვლევები ჩაუტარდა იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) კოლექციებში დაცულ ფ. რუბოს სურათს – *მე-17 ეგერთა პოლკის შემოსვლა თბილისში გენერალ ლაზარევის მეთაურობით 1799 წელს.* მუზეუმის განაწესის დაცვით (დაცულობის აქტის შედგენა, ფოტოფიქსაცია, შეფუთვა, განფუთვა) ტრანსპორტირებისათვის გავამზადე ხელოვნების მუზეუმიდან გორის სერგი მაკალათიას სახელობის მუზეუმში გამოფენისთვის დროებით გადაცემული ჩემ მიერ რესტავრირებული გ. გაბაშვილის *პეიზაჟი,* ხოლო სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს დაუბრუნდა მისი კუთვნილი რესტავრირებული ექსპონატები.
- მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან ერთად ვმონაწილეობდი ხელოვნების მუზეუმის შენობაში მიმდინარე სარეკონსტრუქციო-საევაკუაციო სამუშაოებში, კერძოდ, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების, არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების, საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების, ასევე შუა საუკუნეების ფერწერული ხატებისა და მინიატიურების ფონდებიდან ექსპონატთა შეფუთვასა და ახალ საცავში გადატანა-განთავსებაში.
- შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გაიმარჯვა ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების ფონდის პროექტმა -*აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები.* მასში ჩემი მონაწილეობა ითვალისწინებს ყაჯარული ფერწერის 32 ნიმუშის ტექნიკისა და ტექნოლოგიის კვლევას, ასევე ამისთვის აუცილებელ სხვადასხვა სახის სამუშაოთა ეტაპობრივად განხორციელებას. უპირველესად, აღმოსავლური კოლექციების ფონდიდან სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში ჩემ მიერ (სხვა რესტავრატორთან ერთად) სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოთა ჩასატარებლად გადატანილ იქნა ოთხი ექსპონატი: *შაჰ აბასის პორტრეტი,* აღა *მაჰმად ხანის პორტრეტი, ნადირ შაჰის პორტრეტი* და *ქალბატონი მოახლით.* უკვე დავიწყე მათი კვლევა და რესტავრაცია.
- 2023 წელს პროექტის – *აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები* – ფარგლებში სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში – *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია* გამოვაქვეყნე სტატია: *ერთი ირანული ფერწერის ატრიბუციისთვის-ქალბატონი მოახლით* – ინტერდისციპლინური კვლევა //For Attribution of one Iranian Painting-the Lady with the servant-interdisciplinary study.
- *პროექტი-აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები* ითვალისწინებდა მრგვალი მაგიდის მოწყობასაც. მასში მონაწილეობდნენ მუზეუმის თანამშრომლები და უცხოელი სპეციალისტები, რომელთაც მოხსენების სახით წარვუდგინე – *საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყაჯარული დაზგური ფერწერის პიგმენტების შესწავლა – წინასწარი შედეგები.*
- ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ყაჯარული ფერწერის გამოფენის გამართვა. ვმონაწილეობდი საექსპოზიციოდ შერჩეული 34 ნამუშევრის შეფუთვა-გადატანა-განფუთვაში.
- ბრიუსელში (ბელგია) 2023 წელს გამართულ *ქართველ ავანგარდისტთა გამოფენისთვის* შეირჩა ლ. გუდიაშვილის ნამუშევრები: *სტეპკოს დუქანი* და *სადღეგრძელო ალიონზე.* სურათებს ეტაპობრივად ჩაუტარდა სხვადასხვა სირთულის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.
- 2024 წელს კრაკოვში დაგეგმილი გამოფენისთვის (*ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება*) ხელოვნების მუზეუმისა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმების ფონდების ექსპონატთაგან სხვადასხვა სირთულის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშა-

ოები ჩაუტარდა სურათებს: კ. ზდანევიჩი. *ნატურმორტი,* ლ. გუდიაშვილი. *იდილია*, ი. ზანკოვსკი. *არარატის მთა.*

- 2024 წლის პერსონალური გეგმით ვახორციელებ აღმოსავლური კოლექციების კუთვნილი ყაჯარული ფერწერის ორი ნიმუშის *(აღა მაჰმად ხანისა* და *ნადირ შაჰის პორტრეტთა*) რთულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს, რომლებიც მოიცავს ყაჯარული ფერწერის ტექნიკისა და ტექნოლოგიის შუალედურ კვლევებსაც.
- რთული რესტავრაცია-კონსერვაცია უტარდება ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდის ფერწერულ ტილოებს: უცნობი მხატვარი. *მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი (მაყაშვილი)*; გ. გაბაშვილი, *ნატურმორტი* და *დავით აღმაშენებლის პორტრეტი.*

მაია სეთურიძის ანგარიში

- 2023 წელს ვმონაწილეობდი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების, ასევე ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდების ძველი საცავიდან ახალ საცავში გადმოტანის პროცესში (ექსპონატთა აღწერა, ყუთებში ჩალაგება, ზედამხედველობა და უსაფრთხოდ განთავსება ახალ საცავში).
- ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა (უცნობი მხატვარი. *უცნობი მამაკაცის პორტრეტი;* უცნობი მხატვარი. *შოთა რუსთაველი*) და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების (უცნობი მხატვარი. *ღვთისმშობელი*; უცნობი მხატვარი. *პეიზაჟი შენობებით*; უცნობი მხატვარი. *გოგო*; უცნობი მხატვარი. *ნატურმორტი*; უცნობი მხატვარი. *ქალის პორტრეტი)* ფონდებიდან, ასევე სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან (ქ. მაღალაშვილი.*ელისო ვირსალაძის პორტრეტი;* გ. ყანდარელი. *ფიროსმანი და გუდიაშვილი;* უ. ჯაფარიძე. *ეტიუდი;* კ. ობოლაშვილი. *თუშეთი*) ლაბორატორიაში შემოსულ სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მქონე ექსპონატებს ჩავუტარე შესაბამისი რესტავრაცია-კონსერვაცია. მათგან ნაწილის რესტავრაცია დასრულებულია, რამდენიმეს ესაჭიროება რენტგენოგრაფირება და კვლევა, რათა გაგრძელდეს სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესი.
- მოვახდინე დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეასა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარებული რამდენიმე პერსონალური და ჯგუფური გამოფენისთვის სურათების დაცულობის აქტის შედგენა, მათი შეფუთვა, ტრანსპორტირება, განფუთვა და საცავში დაბრუნება.
- ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან ბრიუსელში ავანგარდისტ მხატვართა გამოფენისთვის შერჩეულ სურათთაგან განვახორციელე ფიროსმანის სურათების, კონსერვაცია-რესტავრაცია: *ქეიფი რთველის დროს* (რთული რესტავრაცია ნ. მანაგაძესთან ერთად) (ილ. 33-35), *ბიჭი ვირზე;* სონა უკრავს გარმონს; *ოთხი მოქალაქის ქეიფი.*
- 2023-2024 წწ-ში მივლინებული ვიყავი ბრიუსელში და სამუზეუმო განაწესის დაცვით მონაწილეობა მივიღე იქ გამართულ XX საუკუნის დასაწყისის ქართველ ავანგარდისტთა გამოფენისთვის შერჩეული ექსპონატების ჩატანა-დაბრუნების პროცესში (ფოტოდოკუმენტირება, დაცულობის აქტის შედგენა, შეფუთვის ზედამხედველობა, გადაბარება...)
- ფესტივალ *ევროპალია-საქართველოს* ფარგლებში დაგეგმილ ქართველ ავანგარდისტ მხატვართა გამოფენისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების გარდა, ითვალისწინებდა ამ გამოფენაში სხვადასხვა დაწესებულებიდან და კერძო კოლექციებიდან შერჩეული ექსპონატების ექსპონირებას. მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან ერთად ჩემი მონაწილეობითა და სამუზეუმო განაწესის დაცვით (დოკუმენტირება, დაცულობის აქტების შედგენა, შეფუთვა, ტრანსპორტირება) განხორციელდა რამდენიმე ათეული (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან – 13-ის; ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმიდან – 15-ის; რუსთაველის თეატრის მუზეუმიდან – 21-ის; მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმიდან – 14-ის, კერძო კოლექციიდან – 9-ის; გალერეა გამრეკელიდან – 4-ის) ექსპონატის გადმოტანა ხელოვნების მუზეუმში. გარდა ამისა, მივიღე მონაწილეობა ამავე გამოფენისთვის შერჩეული ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციისათვის საჭირო

მასალის შეძენაში; საზღვარგარეთ საგამოფენოდ გასატანი ფერწერული ექსპონატებისთვის შევადგინე დაცულობის აქტები.

- 2024 წელს კრაკოვში გასამართი გამოფენისთვის-*ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება* განვახორციელე შემდეგი სურათების მსუბუქი და შედარებით რთული სარესტავრაციო -საკონსერვაციო-სამუშაოები: უცნობი ავტორი. *ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტი;* უცნობი ავტორი. *მოხუცი ქართველი თავადის პორტრეტი;* უცნობი ავტორი. *ივანე პეტრეს ძე ივანიძისა და მისი მეუღლე მაგდალინას პორტრეტი;* ლ. გუდიაშვილი. *პირიმზე.* ლ.გუდიაშვილი. *მერანი;* დ. შევარდნაძე. *შლიაპიანი ქალი მთელი ტანით;* შ. ქიქოძე. *პარიზი;* ი. ზანკოვსკი. *მთიანი პეიზაჟი;* ი. ზანკოვსკი. *ჩალვადრები მთებში;* ა. მეძიბლოცკი. *კოჯორი;* ზ. ვალიშევსკი. ავტოპორტრეტი; რ. ზომერი. *საბაზრო სცენა;* ე. ახვლედიანი. *პარიზის კუთხე.*
- ბუდაპეშტში, პესტი ვეგადოს საგამოფენო დარბაზებში, 2024 წლის მაისში გასამართ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება XX-XXI საუკუნეების ქართული ვიზუალური ხელოვნება. განსაზღვრულია ჩემ მიერ ხელოვნების მუზეუმისა და კერძო კოლექციებიდან გამოფენისთვის შესარჩევი ნამუშევრების რესტავრაცია-კონსერვაცია.
- 2024 წლის პერსონალური გეგმით უნდა განვახორციელო შემდეგი სურათების რესტავრაცია-კონსერვაცია: ფიროსმანი. *ბატკანი;* ფიროსმანი. *თამარ მეფე ეტრატით ხელში;* ჟან შარდენი (?). *ნატურმორტი.*

გრაფიკა

თეა ყველაშვილის ანგარიში

- 2023 წელს მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან ერთად მივიღე მონაწილეობა საზღვარგარეთის ქვეყნების კოლექციებისა და ახალი და თანამედროვე ქართული გრაფიკის ფონდების გადატანაში ძველი საცავიდან ახალ სივრცეში (ექსპონატების შეფუთვა, ყუთებში ჩალაგება, განფუთვა და სტელაჟებზე განთავსება).
- 2023 წლის განმავლობაში დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გამართული მოძრავი ჯგუფური და პერსონალური გამოფენებისთვის მოვაწესრიგე და მოვამზადე (დაცულობის აქტის შედგენა, შეფუთვა, ტრანსპორტირება, განფუთვა, და საცავში დაბრუნება) 23 გრაფიკული ნამუშევარი.
- 2023 წელს ბრიუსელში, ბოზარის სახვითი ხელოვნების ცენტრში, გასამართი ავანგარდისტი მხატვრების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა 127 გრაფიკული ნამუშევარი. აქედან, ხელოვნების მუზეუმიდან – 55 ექსპონატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან – 13 წიგნი; ი.გრიშაშვილის სახლ-მუზეუმიდან – 15 წიგნი; რუსთაველის თეატრის მუზეუმიდან 21 გრაფიკული ნამუშევარი; მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმიდან – 14 გრაფიკული ნახატი; კერძო კოლექციიდან – 9 გრაფიკული ნამუშევარი (ილ. 46-47; 48-49). 127 ექსპონატიდან 99-ს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის რთული რესტავრაცია; შევადგინე საზღვარგარეთ საგამოფენოდ გასატანი გრაფიკული ექსპონატებისა და წიგნებისთვის დაცულობის აქტის ფორმა და შევავსე დაცულობის აქტები (მაია სეთურიძესთან ერთად).
- 2024 წლის მაისში კრაკოვში დაგეგმილი გამოფენისთვის *ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება* შეირჩა ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი 62 გრაფიკული ნამუშევარი. ვიზუალური დათვალიერებით განისაზღვრა მათი დაცულობის ხარისხი, რის შემდეგ მათი გარკვეული რაოდენობა მსუბუქად რესტავრირდა. იოსებ გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმიდან იმავე გამოფენისთვის შერჩეულ 14 გრაფიკულ ნამუშევართა ნაწილს კი ჩაუტარდა რთული რესტავრაცია.

ნინო ბურდულის ანგარიში

- 2023 წელს ბელგიაში გამართულ ქართველ ავანგარდისტ მხატვართა გამოფენისთვის მოწესრიგდა სარესტავრაციო-კვლევითი ლაბორატორიისათვის გადმოცემული ხელოვნების მუზეუმისა და სხვადასხვა დაწესებულების კუთვნილი 127 გრაფიკული ნამუშევარი, მათ შორის, ზალცმანის ფერად გრაფიკულ ნახატს მოეხსნა ძველი დაზიანებული დუბლირების ფენა და შეიცვალა ახლით (ილ. 50-53).
- ქართველ ავანგარდისტ მხატვართა გამოფენისთვის შეირჩა შემდეგი ფრესკების ასლები: 1. ყინწვისის მთავარანგელოზი. ასლი ტ. შევიაკოვასი; 2. საიდუმლო სერობა. ასლი ქ. მაღალაშვილისა; 3. წმინდა გიორგი. ასლი ს. მირზაშვილისა; ისინი მოწესრიგდა საგამოფენოდ და ჩაუტარდა მსუბუქი რესტავრაცია. ამ ფრესკათა ასლების გარდა, სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში ხელოვნების მუზეუმის სხვადასხვა ფონდიდან გადმოცემულ ოთხ გრაფიკულ ნამუშევარს ჩაუტარდა მსუბუქი რესტავრაცია.
- 2024 წელს კრაკოვში დაგეგმილი გამოფენისთვის (*ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება*) განკუთვნილი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნებისა და თანამედროვე ქართული გრაფიკის ფონდების 52 გრაფიკული ნამუშევრიდან 16 -ს ჩავუტარე მსუბუქი რესტავრაცია (ო. შმერლინგი. *ძველი თბილისი, მეთულუხჩე;* ო. შმერლინგი. *ბაზარი;* ჰრინევსკი. *არარატი;* ზ. ვალიშევსკი. *მელიტა თადოს ასული ჩოლოყაშვილი;* ლ. გუდიაშვილი. *შურისძიება* და ა. შ.). იმავე გამოფენისთვის მზადდება 10 ფრესკის ასლი, რომელთაც ჩაუტარდა სათანადო რესტავრაცია, მათ შორის: *ვარძიის ხელთუქმნელი ფრესკა*. ასლი ტ. შევიაკოვასი; *ღვთისმშობელი ყრმით*. ასლი ლ. დურნოვოსი; *ფხიზელი თვალი*. ასლი ტ. შევიაკოვასი და ა. შ. მზადდება ჩემ მიერ რესტავრირებული 16-ვე ექსპონატის დაცულობის აქტი.
- მინიატიურების ასლებისა და ფერწერული ხატების ფონდიდან გადმოცემულ 5 მინიატიურას ჩაუტარდა გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები.

ტემპერა

ზეინაბ ჯაშის ანგარიში

- 2023 წელს მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან ერთად ვმონაწილეობდი ძველი საცავიდან საზღვარგარეთის ქვეყნების კოლექციების, მინიატიურებისა და ფერწერული ხატების ფონდების ევაკუაციაში, რომლის დროსაც ექსპონატთა აღრიცხვა-დათვალიერების შემდეგ მოხდა მათი შეფუთვა, ყუთებში მოთავსება და გადატანა ახალ სივრცეში.
- მინიატიურებისა და ფერწერული ხატების ფონდის ევაკუაციისას შერჩეულ იქნა 7 ხატი, რომლებიც საჭიროებდა სასწრაფო რთულ რესტავრაციას: 2 ხატი *ქრისტეს შობა;* 3 ხატი *ღვთისმშობელი ყრმით; მაცხოვრის* ხატი; ხატის ფრაგმენტი ღვთისმშობლის სახის გამოსახულებით (ილ. 54-55). ამას გარდა, საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების კოლექციების კუთვნილი 3 რუსული ხატი (ორმხრივი ხატი წმ. პანტელეიმონი; *ღვთისმშობელი ყრმით* და *ჯვარცმა – ღვთისმშობელი ყრმით*) გადატანილ იქნა სარესტავრაციო-კვლევით ლაბორატორიაში, სადაც ჩატარდა რთული სარესტავრაციო სამუშაო.
- გავამაგრე საგანძურის კუთვნილი 2 ქართული ხატის (წმინდა სანაწილე ღვთისმშობლის გამოსახულებით; ხატი *ღვთისმშობელი ყრმით*) ფერწერული ფენა.
- 2023 წელს ბრიუსელში გასამართ ავანგარდისტთა გამოფენისთვის რესტავრირებულ იქნა კ. ზდანევიჩის სურათი *ქალის ფიგურა*.
- 2024 წელს კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილი გამოფენისთვის (*ოქროს საწმისი-ქართული ხელოვნება)* ვლ. სტახოვსკის ფერწერულ სურათს -*მებრძოლები მთებში* ჩაუტარდა მსუბუქი რესტავრაცია.

ნინო კიტოვანი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
დაზგური ტემპერის რესტავრატორი

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კონსერვაცია-რესტავრაციის მიმართულების განვითარების შესახებ

ხელოვნების ნიმუშთა თანამედროვე კონსერვაცია-რესტავრაციის დარგი რთული და კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგას. კონსერვატორ-რესტავრატორის პროფესია დღეს უკვე მოიცავს არა მარტო პრაქტიკულ საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს დაკვირვებულ თვალსა და ფრთხილ ხელს, ხშირად ინტუიციასაც, არამედ უცილობლად ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სპეციფიკურ თეორიულ ცოდნასა და მათი მიღწევების გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში. ასე რომ, ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია-რესტავრაციისას ემპირიულ გამოცდილებას თუ არ ენაცვლება, სულ უფრო მეტად ავსებს ინტერდისციპლინური კვლევის[5] მეთოდებზე დაფუძნებული და შეძენილი გამოცდილება.

იცვლება ტრადიციული დარგობრივი დამოკიდებულება და მეთოდებიც, რაც ხელოვნების ნიმუშთა მხოლოდ შეკეთებასა და ფორმის აღდგენა-განახლებას აღარ გულისხმობს, თანამედროვე მიდგომის უმთავრესი მიზანი ძეგლის ავთენტურობის შენარჩუნება ხდება. მეტიც, ექსპონატის ავთენტური სახის შენარჩუნების პრობლემა XX ს-ის 30-იანი წლების დასასრულიდან მწვავე მსჯელობის საგნად იქცა, რაც ჩეზარე ბრანდიმ ჩამოაყალიბა 1963 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში – „რესტავრაციის თეორია“.[6] მიჩნეულია, რომ „ხელოვნების ნიმუში, რომელიც შექმნილია გარკვეულ დროსა და ადგილას, რთული ფენომენია. მისი რესტავრაცია კი ჩვენ მიერ გავლილი სახელოვნებო წარსულისა თუ ტრადიციის აწმყოში მანიფესტაცია, ისტორიზმისა და ესთეტიზმის დიალექტიკის ყველაზე ღრმა, დაფარული, ჰერმენევტიკული შემადგენელია“.[7] [Mohen. 2005: 131]**.** ხელოვნების ნიმუშთა ავთენტურობის არსის ამგვარი მეტ-ნაკლებად ტევადი ინტერპრეტაცია კიდევ უფრო მეტად ზრდის მისი შენარჩუნების აუცილებლობასა და კონსერვაცია-რესტავრაციის დარგის განვითარებასაც უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ძეგლის ავთენტურობის შენარჩუნების პრინციპები თანდათან სავალდებულო წესების სახეს იღებს კიდეც ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისოდ აღიარებულ მრავალ დოკუმენტში – ქარტიებსა და კონვენციებში.[8] ამაზე მსჯელობა დღესაც აქტიურად გრძელდება, რადგან კონსერვაცია-რესტავრაცია, რომელსაც ხშირად პალიმფსესტის გაშიფვრის ხელოვნებასაც ადარებენ, ხელოვნების ნიმუშთა მიმართ ახალი დამოკიდებულების, მისი ავთენტურობის შეცნობის, კვლევის, გამოვლენისა და მაქსიმალურად შენარჩუნების მეცნიერებადაა აღიარებული, მისი კონცეფცია კი ეფუძნება **ძეგლის მთლიანობის პატივისცემის, მისი ხელშეუხებლობის, დაუნაწევრებლობის, ორიგინალი (თავდაპირველი) მასალის უცვლელობის აღიარების, ნიმუშის ხასიათისა და მისი ყველა შემადგენელი ნაწილის უცილობლად შენარჩუნების ფუნდამენტურ პრინციპებს.** მიუხედავად მათი საყოველთაოდ აღიარებისა, ისინი ამ დარგის ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. არასწორმა კონსერვაცია-რესტავრაციამ (დამოკიდებულება, მასალა, მეთოდი) შეიძლება სამუდამოდ, შეუქცევადად გააქროს ხელოვნების ნიმუშში ჩადებული ისტორიული თუ ესთეტიკური მყიფე და მოუხელთებელი ინფორმაცია, რომლის მოპოვება-შენა-

---

5 აქ იგულისმება კვლევის როგორც სინჯის გამოყენებით (ე.წ. ინვაზიური), ასევე სინჯის აუღებლად (არაინვაზიური) წარმოებული მიკროქიმიური, მიკრობიოლოგიური, ფიზიკო-ოპტიკური თუ ფიზიკო-ქიმიური მეთოდები.

6 Cesare Brandi (trad. Colette Déroche), *Théorie de la restauration* [« Teoria del restauro »], Paris, Editions du Patrimoine, 2001.

7 ამონარიდი პოლ ფილიპოს მიერ 1994 წელს პარიზის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან დამოწმებულია წიგნიდან: Jean-Pierre Mohen. L'Art et la Science. Gallimard. 2005 (ამონარიდის თარგმანი– ნ. კ.).

8 ვენეციის ქარტია – https://www.tbilisiarchitecture.net/ka/the-venice-charter-1964/; ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ – https://ancientgeorgia.files.wordpress.com/2014/04/naras-dokumenti-avtenturobis-sesaxeb : ფაროს კონვენცია – https://www.coe.int/en/web/venice/faro-convention 2005; ICOMOS-ის საერთაშორისო ქარტიები და დოქტრინები. თბ., 2022; მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში საფრთხის ქვეშ მყოფი ობიექტების ჩართვის კრიტერიუმები – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტების მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანა-წარდგენის ფორმა. კულტურის პოლიტიკა. თბ.,2004.

რჩუნებასაც ასე ესწრაფვის პროფესიონალი. ამიტომ ამ რთული დისციპლინის წარმატება არა მხოლოდ რესტავრატორის პირად გამოცდილებაზე, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობაზე, არამედ სარესტავრაციო ტექნოლოგიის, აღჭურვილობისა და კვლევის მეთოდების განვითარებაზე და, რაც მთავარია, საქმის სწორად მართვაზეა დამოკიდებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსერვატორ-რესტავრატორის პროფესია ჯანმრთელობისთვის მავნეა. ამიტომ ლაბორატორიები უნდა აღიჭურვოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებებით. ეს კი, უდავოდ, დაწესებულების პრეროგატული მოვალეობა უნდა იყოს.

ამასთანავე, ტრადიციული ტერმინებიც ვითარდება – *კონსერვაცია, რესტავრაცია, კონსერვატორი და რესტავრატორიც* საერთაშორისო მასშტაბით იცვლება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისადმი უფრო კომპლექსური მიდგომის მაჩვენებელი ტერმინებით -*კონსერვაცია-რესტავრაციითა* და *კონსერვატორ-რესტავრატორით* [ბერდუკუ. 2016: 18-22].[9]

კონსერვატორ-რესტავრატორის ზოგადი მოვალეობანი რთული და კომპლექსურია და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა სათანადოდ დაცვა – შენახვაზე ზრუნვასა და, ამ მიზნით, დარგის უმთავრესი პრინციპების განუხრელად შესრულებას მოითხოვს.[10] საქმიანობის დაწყებამდე პროფესიონალ კონსერვატორ-რესტავრატორს ევალება არსებულ დაზიანებათა მიზეზების გამოკვლევა; მუშაობის პროცესში მოსალოდნელი რისკის ხარისხის განსაზღვრა და მხოლოდ ამის შემდეგ მათი კონსერვაცია-რესტავრაცია.

დადებითი, მაქსიმალურად ხანგრძლივი და მდგრადი შედეგის მისაღწევად დარგის პროფესიონალს უწევს:

- დაზიანებული ნიმუშების დიაგნოსტირება, გადარჩენითი ოპერაციების სტრატეგიის დაგეგმვა, შესატყვისი მასალების, ოპერაციებისა და მეთოდოლოგიის შერჩევა (ხშირად ახალი მეთოდის მოფიქრება/ გამოგონება, ექსპერიმენტულად გამოცდა) და დანერგვა;
- სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუციასთან კომუნიკაცია, ამა თუ იმ პრობლემის ადეკვატურად მიწოდება და კვლევის შედეგების სწორად გამოყენება, რისთვისაც იგი შეიარაღებული უნდა იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებთან დაკავშირებული ცოდნით;
- პროფესიული დოკუმენტაციის (დაცულობის აქტები, საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის ამსახველი და მულტიდისციპლინური კვლევის საბუთები) შედგენა, კვლევის შედეგების გამოქვეყნება;
- დახმარების გაწევა სხვა დარგების (ისტორიკოსები, არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, გალერისტები, ხელოვანები...) წარმომადგენლებისთვის ხელოვნების ნიმუშთა ავთენტურობის, მხატვრული ღირებულების, სტილის, თარიღის, ისტორიული თუ კულტურული ღირებულების დასადგენად. [11]
- პროფესიული კადრების მოზიდვა და მათი პროფესიულ წინსვლაზე ზრუნვა.[12] ეს უკანასკნელი მთავარ ვალდებულებათაგან ერთ-ერთია, რადგან დარგის განვითარება დიდ წილად ამაზეა დამოკიდებული.
- უმნიშვნელოვანესია მოქმედება საერთაშორისო პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად, რაც აუცილებლად ითვალისწინებს კოლეგებისა და წინა თაობათა სპეციალისტების შეხედულება-გამოცდილების პატივისცემას, ხშირად გაზიარებასაც.

ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია კონსერვატორ-რესტავრატორს ნებისმიერი სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მომავალი თაობებისათ-

---

9 ბერდუკუ მ.კ. კონსერვაცია არქეოლოგიაში. თბ., 2016.

10 კონსერვაცია-რესტავრაციის მთავარი პრინციპებია: მინიმალური ჩარევა, პრევენციული კონსერვაციის უპირატესობა, მკაფიოობა, შექცევადობა, გამოყენებული მასალების თავსებადობა და მდგრადობა.

11 დიდი მიღწევაა, საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 2022 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშთა კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიის დაარსება, რომელთანაც თანამშრომლობა დიდად დაეხმარება მუზეუმის კონსერვატორ-რესტავრატორებს წინასარესტავრაციო კვლევებში.

12 სამწუხაროდ, დღეს ხდება, თსსა -ის იმედის მომცემი მრავალი კურსდამთავრებულის განთესვა, რადგან მუზეუმებისა თუ ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის რესურსები არასაკმარისია მათ დასასაქმებლად და ისინი სხვა პროფესიებში ცდიან ბედს.

ვის რაც შეიძლება უცვლელი სახით გადაცემაში. თუმცა, პირადი პასუხისმგებლობის გარდა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება პროფესიონალთა კოლექტიურ პასუხისმგებლობასა და მსჯელობას, ე. წ. გუნდურ მუშაობასა და კონსენსუსზე დაფუძნებული გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასაც გულისხმობს,[13] რაც გამორიცხავს რაიმე კერძო ინტერესებით მოქმედებას. ყოველივე ამის განხორციელება კი ყველაზე მეტად ძალუძს პროფესიულ სათათბირო ორგანოს – საკონსერვაციო-სარესტავრაციო (ზოგიერთ დაწესებულებაში, საკონსერვაციო-სამეცნიერო) საბჭოს (ან საბჭოებს), როგორც პროფესიული საქმიანობისას შეცდომების თავიდან აცილების ყველაზე ოპტიმალურ მექანიზმს. მისი საჭიროება დიდი ხანია დამტკიცებულია საერთაშორისო თუ ადგილობრივი, კერძოდ, ხელოვნების მუზეუმში 1979-იანი წლებიდან არსებული გამოცდილებით. სამწუხაროდ, 90-იანი წლების მძიმე პოლიტიკურმა მოვლენებმა ნაწილობრივ კორექტივი შეიტანა მუზეუმის განაწესშიც – აქ მოქმედმა საკონსერვაციო-სარესტავრაციო საბჭომ გარემოებათა გამო მუშაობა შეწყვიტა. არადა, მისი აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მუზეუმში მიმდინარეობს პირველხარისხოვანი ძეგლების – დაზგური მხატვრობის, გრაფიკის, ქსოვილების, შუა საუკუნეების ქვის, მინანქრის, ჭედური ხელოვნების ნიმუშთა კვლევა და კონსერვაცია-რესტავრაცია. ამგვარი საბჭო უნდა იყოს პროფესიული სათათბირო, საკონსულტაციო და, ამავე დროს, მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც უნდა მოქმედებდეს მუზეუმის პოლიტიკის შესაბამისად, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და მიზნად ისახავდეს შეცდომების გამორიცხვით კულტურული მემკვიდრეობის მდგრად კონსერვაცია-რესტავრაციას. მასში უნდა შედიოდნენ ხელოვნების მუზეუმის ყველა სარესტავრაციო დარგის მაღალი კვალიფიკაციის (უფროსი და წამყვანი) კონსერვატორ-რესტავრატორები, მუზეუმის დირექციის წარმომადგენლები (დირექტორი ან მოადგილე), სათანადო სამეცნიერო მიმართულებების კომპეტენტური წარმომადგენლები, კურატორები, მეცნიერ-თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სფეროების მოწვეული სპეციალისტები. სხდომათა მიმდინარეობის ოფიციალურად გასაფორმებლად საბჭოს უნდა ჰყავდეს მდივანი. საბჭო უფლებამოსილია, ვეტო დაადოს ხელმძღვანელობის მიერ არტეფაქტის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, საკონსერვაციო – სარესტავრაციო სამუშაოთა რაგვარობა და მოცულობა წინასწარ (სულ მცირე, 2 წლით ადრე) უნდა დაიგეგმოს საბჭოსთან ერთად, რათა მოულოდნელად თავზე დამტყდარი მოვლენა და კონსერვატორ-რესტავრატორებისათვის მუდმივი სტრესის მიზეზი არ იყოს (რა დასამალია, რომ დღეს ეს ასე ხდება!). ამგვარი გეგმიური საქმიანობა მინიმუმამდე შეამცირებს ე. წ. ფორსმაჟორულ სიტუაციას, რაც თანაბრად საზიანოა როგორც სარესტავრაციო არტეფაქტისთვის, ისე თავად სპეციალისტისთვის.

სამუშაოთა სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა მოქმედებდეს დიდი/ გაფართოებული და მცირე სარესტავრაციო საბჭოები. დიდი საბჭო უნდა იკრიბებოდეს წელიწადში ორჯერ. საგანგებო მდგომარეობის ან განსაკუთრებული შემთხვევების დროს უნდა ჩატარდეს საბჭოს საგანგებო სხდომა.

დიდი საბჭოს კომპეტენცია უნდა იყოს:

- ხელოვნების ნიმუშის კონსერვაცია-რესტავრაციის პრინციპული საჭიროებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების (კვლევისა და კონსერვაცია-რესტავრაციის მეთოდი, ტექნოლოგია, მასალა, აღჭურვილობა) განხილვა და გადაწყვეტა;
- კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესებისათვის აუცილებელი მასალებისა და აღჭურვილობის ადგილზე არსებობის, გარედან მოზიდვისა თუ სხვა ინსტიტუციების პოტენციალის გამოყენების საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;
- ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობის (ერთწლიანი, მრავალწლიანი გეგმები და ა.შ.) განხილვა და დამტკიცება. აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოს გახანგრძლივების საჭიროების განხილვა და დამტკიცება, მათ შორის, დაწესებულების საგამოფენო საქმიანობის ვადებსა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- ამა თუ იმ რესტავრატორისათვის (კომპეტენციისა და სტაჟის მიხედვით) სამუშაოს მინდობის საკითხების განხილვა და დამტკიცება. საჭიროებისდა მიხედვით, სათანადო კომპეტენციის სპეციალისტების სხვა ინსტიტუციებიდან (მათ შორის, უცხოეთიდან) მოწვევისა და აუცი-

13 ამავე დროს, ნებისმიერი კონსერვატორ-რესტავრატორი პასუხისმგებელია მასზე მინდობილი სამუშაოს სრულად, თანმიმდევრულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

ლებელ ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება;

- განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მქონე ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციასთან დაკავშირებული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემების (მეთოდოლოგია, მასალები, ტექნოლოგია, სპეციალისტები) განხილვა და დამტკიცება;
- დაწესებულებაში დასაქმებული სპეციალისტების პროფესიული შეფასება და მათი იერარქიული წინსვლის საკითხების გადაწყვეტა.

მცირე საბჭო იკრიბება ლაბორატორიაში ყოველი პრობლემური ლოკალური საკითხის წამოჭრისას და მისი მოწვევა შეუძლია ნებისმიერ რესტავრატორს. იგი დაკომპლექტებულია იმავე ლაბორატორიის სპეციალისტებით. საჭიროების მიხედვით, იგი უფლებამოსილი უნდა იყოს, მოიწვიოს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის სხვა სპეციალისტი ან მოითხოვოს საგანგებო სხდომის ჩატარება საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის მიმდინარეობისას წამოჭრილი რთული საკითხის გადასაწყვეტად. მცირე საბჭოზე წლიური გეგმით ხდება სარესტავრაციო დავალებების მიცემა ან არსებული დავალების შეცვლა ნებისმიერი რესტავრატორისათვის (რაც დოკუმენტირდება), ასევე დიდ საბჭოზე განსახილველი საკითხების მომზადება. მცირე საბჭო დიდი საბჭოს წინაშე შუამდგომლობს კონსერვატორ – რესტავრატორებს უფრო მაღალი საკვალიფიკაციო პოზიციის დასაკავებლად.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო დარგში ზემოთ მოცემული საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარება, უდავოდ, ხელს შეუწყობს ხელოვნების მუზეუმში დაუნჯებული ქართული უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენის საშვილიშვილო საქმესა და, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქართული კულტურისათვის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომ განვითარებას.

ილუსტრაციები

ხელოვნების მუზეუმიდან სხვადასხვა დროს გატანილი და დაბრუნებული ექსპონატები

ილ. 1
აპოლონ ქუთათელაძე. ***ბალერინა, შესვენება*** **(ხმ/ქსხ 2766)**

ილ. 2
ჟან შარდენი. ***ნატურმორტი.*** **XVII ს. (ხმ. დე/ფ-275)**

ილ. 3
ბიძინა ავალიშვილი. *აკაკი შანიძის პორტრეტი* (ქ-23)

ილ. 4
ედმუნდ კალანდაძე. *შიშველი ქალი* (ფ-1801)

ილ. 5
გურამ გაბაშვილი. *დღეობა* (გამ. 1336)

ილ. 6
ანთიმოზ გორგაძე. *ლაშარის ხარი* (გამ. 720)

ილ. 7
ქეთევან მაღალაშვილი. ***ვაჟა-ფშაველას მეუღლის პორტრეტი*** **(ფ-449)**

ილ. 8
ავთანდილ პოპიაშვილი. ***ჩემი კახეთი*** **(ფ-866)**

ილ. 9
ზურაბ ლეჟავა. *ბოტანიკურ ბაღში* (გ-485)

ილ. 10
ჯულიეტა ბერძენიშვილი. ***ძველი თბილისის მოტივები. ძველი სახლი*** **(გ-1482)**

ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორ-კონსერვატორთა მიერ რესტავრირებული ექსპონატები

ილ. 11-12

ჯვრული დაფარნა (სხმ/ნ 3817)

რესტავრატორი ნანა ჯავშანაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 13-14

ქართული კაბის ზედატანი (ძ/ფ 2193)

რესტავრატორი ნია წიწილაშვილი

რეკონტრუირება-რესტავრაციამდე

რეკონსტრუირება-რესტავრაციის შემდეგ

ილ. 15-16

ქართული კაბის ზედატანი (ძ/ფ 2193)

რესტავრატორი ნინო სოხაშვილი

რეკონსტრუირება-რესტავრაციამდე

რეკონსტრუირება-რესტავრაციის შემდეგ

ილ. 17-18

ქართული კაბის ზედატანი (სხმ/ნ 4920)

რესტავრატორი ეკა კალანდია

რეკონსტრუირება-რესტავრაციამდე

რეკონსტრუირება-რესტავრაციის შემდეგ

ილ. 19-20

ქართული კაბის სარტყელი (ძ/ფ. 2193)

რესტავრატორი მანანა პაპიძე

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ.21-22

სასულიერო პირის სარტყელი (სხმ/ნ 3711)

რესტავრატორი მეგი ხუბულური

რესტავრაციამდე

ექსპონატი რესტავრაციის პროცესშია

ილ. 23-24

ბალიში (სხმ/ნ -3031-3032)

რესტავრატორი ნინო ჩოლოყაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 25-26

ყაჯარი /ასალი (სხმ/ნ 4366)

რესტავრატორი ნინო ჩოლოყაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ. გრძელდება ექსპონატის რესტავრაცია

ილ. 27-28

ეპიტრაქილი (სხმ/ნ 4390)

რესტავრატორი ეკა ტყეშელაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 29-30

ქისა (63 – 1926 / 58)

რესტავრატორი ეკა ტყეშელაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 31-32

ჩიხტიკოპი (ძ / ფ 2193)

რესტავრატორი ეკა ტყეშელაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 33-35

ნიკო ფიროსმანაშვილი. *ქეიფი რთველის დროს* (სხ/ქსხ126)

რესტავრატორები: ნანა მანაგაძე, მაია სეთურიძე

რესტავრაციამდე

გაწმენდის პროცესი

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 36-37

ო. სულავა. პეიზაჟი (ხმ/ქსხ 2318)

რესტავრატორი ეველინა კარსელი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 38-39

მ. კ. ბრიუნიხი. *ქალის პორტრეტი* (დე/166)

რესტავრატორი ეკა თევზაძე

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 40-41

უცნობი მხატვარი. ***გრიგოლ ბატონიშვილის პორტრეტი*** **(ხმ/ ქსხ 21225 რ)**

რესტავრატორი ნათია კორკოტაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 42-43

ი.კორეჯიო. *ნატურმორტი* (სხმ/დე.ფ 137)

რესტავრატორი ნინო მერაბიშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 44-45

უცნობი მხატვარი. *პეიზაჟი* (დე/ფ375)

რესტავრატორი სესილი სორდია

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 46-47

ირაკლი გამრეკელი და კირილე ზდანევიჩი

აფიშა (92) შოთა რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *მალშტრემ*. 1923

პიესის ავტორი გრიგოლ რობაქიძე

რესტავრატორი თეა ყველაშვილი

რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ



ილ. 48-49

ზიგმუნტ ვალიშევსკი

პოეტების – პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის შარჟი (სხმ.დე. გრ.936). 1918

რესტავრატორი თეა ყველაშვილი

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

ილ.50-53

ალექსანდრ ზალცმანი. *ქალი შალითით* (ხმ/ქსხ159)

რესტავრაციამდე

უკანა მხარე რესტავრაციამდე

უკანა მხარის მოხსნის პროცესი

რესტავრაციის შემდეგ

ილ. 54-55

უცნობი ავტორი

ხატის ფრაგმენტი ღვთისმშობლის სახის გამოსახულებით (სხსმ /ხ 486)

რესტავრატორი ზეინაბ ჯაში

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

შემოკლებათა განმარტება

სხმნ/ნ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდი

ძ/ფ – ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის ძირითადი ფონდი

ხმ/ ქსხ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ქართული სახვითი ხელოვნების ფონდი

ხმ/დე/ფ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფერწერის ფონდი

ქ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ქანდაკების ფონდი

ფ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფერწერის ფონდი

გამ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების ფონდი

გ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გრაფიკის ფონდი

სხსმ /ხ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხატების ფონდი

სხმ.დე. გრ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის გრაფიკის ფონდი